„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№1 (278)
იანვარი
2022 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეოთხე წელი "LITERATURULI MESKHETI"



ქარზამეთი. 1901 წელი

## 2022 წლის შემობრძანებას გილოცავთ!

ჩემო მამაცო, ლამაზო ქართველებო! მხრებში გაიშალეთ, თავი მაღლა ასწიეთ, გამხნევებით და გაძლიერდით, ქართველებო! დიდა მშვიდობისა მამაცი მეომრების, რაინდების, მზეთუნახავი ქალიშვილების, კოსმიური სიმღერების, თავბრუდამხვევი ცეკვების, უძველესი ეკლესია-მონასტრების, ციხე-კოშკების, ანკარა წყაროების, მსოფლიოს პირველი ანბანის, ათასგვარი ვაზის, ხორბლის, სურნელოვანი თაფლის, სამკურნალო ბალახეულის, საუცხოო პოეზიის, ღვინის, ნოყიერი მიწის, ცადატყორცნილი მწვერვალების, ძაფის, მეტალურგიის, ოქროს მომპოვებლების, მინერალური წყლების, მრავალფეროვანი სამზარეულოს, სიბრძნის — ოქროს საწმისის, ქრისტეს კვართის, ღვთისმშობლის პერანგის, წმინდანების, ,,ვეფხისტყაოსნის", სახელოვანი მეფეებისა და დედოფლების, განსაცვიფრებელი ისტორიის, სახელგანთქმული მხედართმთავრების, ძველთუძველესი მწერლობის, საიდუმლო სულიერი მეცნიერების და დედა ღვთისმშობლის მადლით ცხებულო, საოცარო, საფიცარო, სახიერო, ულამაზესო ქვეყანავ!.... უფალს ებარებოდე, დედამიწის ციცინათელავ! წმინდა გიორგის ებარებოდე!.. წმინდა ნინოს ოქროსფერ ნაწნავებს ებარებოდე! ანგელოზთა ცხრა დასს ებარებოდე!.. ჩვენს ცრემლებს სამყაროს დედოფალი ითვლის! ჩვენი იარაღი - იესო ქრისტეა!... საქართველოს მტრების დამარცხებას და მათზე ჯავრის ამოყრას გისურვებთ, მგლებო!. თქვენ გაგიმარჯოთ დავითიან - გორგასლიანნო, ნადიდგორიანო, ნაშამქორიანო ქართველებო!... საქართველოს მტრების დამარცხებას და მათზე ჯავრის ამოყრას გისურვებთ, მგლებო!

## ადამის მოდგმის სახელით, ბოდიშს გიხდი, ჩემო ლამაზო დ ე დ ა მ ი წ ა ვ!..

წუხელ შენზე ვფიქრობდი... საერთოდ, ხშირად ვფიქრობ შენზე და სირცხვილით ვიწვები...რა მშვენიერი ხარ, დედამიწავ!.. ყოველმხრივ შემკობილი, ათასფრად მიმოხატული, თვალწარმტაცი, კეთილი... რა ლამაზი სხეული გაქვს, დედამიწავ!.. ულურჯესი ზღვები, ოკეანეები, კრიალა მდინარეები, ქოჩორა ტყეები, თვალისმომჭრელი ველ-მინდვრები, ლურჯი მთები, ანკარა წყაროები, კუნძულები, სურნელოვანი, ულამაზესი მცენარეები, ცადატყორცნილი მწვერვალები, განსაცვიფრებელი მღვიმეები, ჭიუხები, ქარაფები, ფერად-ფერადი პრიალა ქვები, ათასგვარი ხილით დახუნძლული ხეები, ცხოველები, ფრინველები, მწერები, თევზები, ადამიანები! ვინ აღარ სახლობს შენს ძლიერ, გამძლე, ამტან, სტუმართმოყვარე სხეულზე?!. მაგრამ, სამწუხაროდ, ვაი, რომ გიმტყუნა ადამის ძემ, ჩემო დედამიწავ!.. გამუდმებით გაფეთქებენ, გაბინძურებენ, გჯიჯგნიან, გთხრიან!.. ვერ გაძღნენ შენი წამებით!.. სხვადასხვა ტაძრებში ლოცულობენ, სხვადასხვა ენაზე საუბრობენ და სიყვარულს გეფიცებიან შენც და სხვა დედამიწელებს, მაგრამ, სინამდვილეში, გული ღვარძლითა და სიძულვილით აქვთ სავსე!.. გატყუებენ, ჩემო დედამიწავ!.. შენც გატყუებენ, უფალსაც და საკუთარ თავსაც ატყუებენ, ჩემო დედამიწავ!..მეც მათ რიცხვში შევდივარ და, მრცხვენია! ძალიან მრცხვენია! სასაკლაოდაა ქცეული შენი სხეული, დედამიწავ!..

ფარისევლები ზეიმობენ გამუდმებით და საპყრობილეებში ჰყავთ გამოკეტილი უდანაშაულო, კეთილი ნების ადამიანები!.. (ასეთებიც ხომ არსებობენ ამქვეყნად?!.) კაცობრიობის მტრების, ვიღაც ბორგნეულების მიერ გაჩაღებული ომების გამო, მუდმივად ზანზარებს და სახიჩრდება შენი ფაქიზი, ფერწერული ზედაპირი, ჩემო ძვირფასო!.. ადამის მოდგმის სახელით, ბოდიშს გიხდი, დედამიწავ!.. მოგვიტევე ცოდვები უმადურ, სასტიკ, მატყუარა, ავზნე, ავთვალ ადამიანებს!.. შენ კეთილი ხარ! შენ ხომ ჩვენი დედამიწა ხარ!.. დედა ხომ ყოველთვის პატიობს ცოდვებს თავის თავგასულ, თავნება, წრეგადასულ შვილებს?.! მეც მომიტევე, შენს უმადურ, ულირს, გაამპარტავნებულ შვილს და როდესაც შენს წიაღში მოვალ, ჩამეხუტე და გულში დედაშვილურად ჩამიკარი, ჩემო მშვენიერო, ჩემო კეთილო დედამიწავ, რადგან, ადამიანური ცოდვებით დამძიმებულს, მაინც მუდამ მიყვარდი და, ახლაც, ძალიან, ძალიან მიყვარხარ და მეგულხატები!.. ვიცი, რომ შენც, ჩემი სამშობლოსავით, ტყვეობაში ხარ! ბორკილების დამსხვრევას და თავისუფლებას გისურვებ, სამყაროს მზეთუნახავო! ორბიტას არ მოწყდე, დედამიწავ და, იცოცხლე, იცოცხლე, მრავალჟამიერ, შენს მეგობარ მთვარესთან და საუცხოო მზესთან ერთად!

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა არ მოგკლებოდეს, თავად ვარსკვლავო ვარსკვლავთა შორის!.. ძალიან მედარდები, ჩემო დედამიწავ!.. ან ესოდენ შემზარავი დროჟამი რა სიშლეგეა!. გაჩუმდიო!.. ხმა ჩაიგდეო!.. თევზივით პირში წყალი ჩაიგუბეო! — გიბრძანა ახალი მსოფლიოს არქიტექტორმა, ავგულმა, ავად მზერმა, ავად სახსენებელმა, აპოკალიფსურმა მხეცმა და, ულურჯეს სხეულზე, ჯერ იყო და ხუნდები დაგადო და, შემდეგ, ნიღაბი აგაფარა!..



ნახ. სალვადორ დალისა

სინდისი პატარა ღმერთიაო, — ბრძანა მამა გაბრიელმა, მაგრამ, ანტიქრისტეს და მის მიმდევრებს სინდისი, უბრალოდ, არ გააჩნიათ! წითელი მეძავისგან შობილს, რა მოეკითხება?!.. შეგვიწყალე, ქართველთა მეოხო, ჩვენო თვალხატულა დედოფალო, დედა მარიამ! შემუსრე სამყაროს დაუძინებელი, ანჩხლი მტერი!.. დაე, მის ბაგეს ისეთივე ისტორიული შეძახილი აღმოხდეს, ვით ოდესღაც, სპარსეთთან დამარცხებულ და სასიკვდილოდ დაჭრილ რომის წარმართ იმპერატორს, ქრისტესთან მებრძოლ ფლავიუს კლავდიუს იულიანე განდგომილს აღმოხდა, ბრძოლის ველიდან უკან დახევისას, სადღაც, მცხუნვარე ბალდადთან ახლოს: ,,შენ გაიმარჯვე, გალილეველო“! ღამე მშვიდობისა, დედამიწელებო!.. ღამე მშვიდობისა, შეშლილო კაცობრიობავ!.. დედაღვთისმშობლის ციცინათელები თქვენკენ!..

იესო ქრისტეს მადლი თქვენს ოჯახებს! თავისუფლება სამყაროს!.... თავისუფლება დედამიწას!.. უფალს ებარებოდეთ!..

თინათინ
მღვდლიაშვილი,
პოეტი



„რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების სამირკველი, და თუ ასეა — რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი? არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება რა. ვიმეორებთ, იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია.“

ილია

# საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ქალბატონ მაყვალა გონაშვილს



**ქალბატონო მაყვალა,**

საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაციისა და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სახელით სულითა და გულით გილოცავთ საქართველოში უპირველესი, პრესტიჟული და საპატიო – შოთა რუსთაველის პრემიით დაჯილდოებას.

თქვენი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და თვალსაჩინო პოეტის რუსთაველის პრემიით დაჯილდოება ქართული ლიტერატურის კიდევ ერთი დიდი აღიარებაა, რადგან თქვენი პოეზია, ძირითადად ეროვნული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი და ჭეშმარიტად ემსახურება ტრადიციული ქართული ლიტერატურის განვითარების დიდ და საშვილიშვილო საქმეს.

თქვენი ლექსები დიდი ხანია შეიყვარა არა მარტო ქართველმა, არამედ მრავალი ქვეყნის პოეზიის მოყვარულმა, რადგან ისინი სისტემატურად ითარგმნება უცხო ენებზე და მრავალი გულმხურვალე თაყვანისმცემელი გყავთ. ასევე უნდა ითქვას, რომ თავად ბრძანდებით დიდებული მთარგმნელიც და ბევრ ქართველ მკითხველს ახლოს გააცანით არაერთი ქვეყნის თანამედროვე პოეტი.

მწერალთა კავშირიდან ყოველთვის ვგრძნობთ იმ დიდ თანადგომასა და მხარდაჭერას, რასაც ჩვენ მიმართ იჩენთ, და, რაც მთავარია, მესხეთში პოეზიის სახალხო დღესასწაულის – შოთაობის აღდგენის დღიდან მისი აქტიური მხარდამჭერი ბრძანდებით, რაც იმედს გვაძლევს, რომ მომავალში თქვენგან კიდევ უფრო მეტ თანადგომას უნდა ველოდოთ. იმისიც გვჯერა, ქალბატონო მაყვალა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს და ის დიდი მისია, რომელიც ქართველმა მწერლობამ მოგანიჭათ, გვჯერა შეუპოვარი ბრძოლით მიაღწევთ, რომ ქართველ მწერლებს დაუბრუნდეს მწერალთა კავშირის კუთვნილი სასახლე და ქართულმა მწერლობამ აღიდგინოს ის ძველი ჭეშმარიტი სახე, რომელიც მას ჰქონდა.

ქვეყნის საკეთილდღეოდ და ქართული მწერლობის კიდევ უფრო განვითარების მიზნით ღმერთმა მეტი შეგაძლებინოთ, ჩვენო ერთგულო და დიდო მეგობარო, რათა კვლავაც ემრავლოს საქართველოში შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატ ქართველ მწერლებს.

ავთანდილ ბერიძე

პროზა

## ჯემალ მეხრიშვილი

# აზროვნების გამყინვარება

## ნოველა

ნასაუზმევს კბილები დაიხეხა და მაშინვე საგარეოდ გამოწყობას შეუდგა, თან გუნებაში კიდევ ერთხელ იხსენებდა და იმახსოვრებდა – რამდენგან და სად რა თანამიმდევრობით უნდა მისულიყო!... ოოო, წინ მძიმე დღე ედო!...

სამსახურში წასასვლელი ცოლი ისე ზოზინებდა, ჩანდა, ამჯერად არ მოაცდევინებდა – ერთად გავიდეთო!

ძირს ულიფტოდ ჩავიდა და გაჩერებისკენ ფეხაჩქარებით გაეშურა.

დეკემბრის თოშიანი დილა იდგა. უსითბო მზე თბილისს ცალყბად დაჰღიმოდა. თხელი ჭირხლი და წინა დღეების ხურხლი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. მოყინული ტროტუარები გუშინვე გადაფხიკეს, ავტოტრანსპორტი კი ლიპიან ასფალტზე სიფრთხილით მოძრაობდა... საბურავებზე ჯაჭვებდახვეული მსუბუქი ავტომობილიც გაიჟღრიალებდა ხოლმე და იქით-აქეთ ყინულის კორიანტელს აფრქვევდა!... შორს, გზაჯვარედინიდან უკვე იწყებდნენ სამეურნეო მარილის მიმობნევას...

გაჩერებას რომ მიუახლოვდა, ნამცხვრების ფარდულის „TANTUNi“ გვერდით ერთად მდგომ უქუდო, ხშირქოჩრიან მამაკაცსა და თვალშეხედულ ქალიშვილს შემთხვევით როგორც კი თვალი მოჰკრა, უმალ ძალღონეწართმეულს დაემსგავსა და თვითონაც ვერ მიხვდა, ნაბიჯს როგორ მოუკლო.

მორჩა, ამაზე მეტი ყელში აღარ ჩასდიოდა – ამათ კი უნდა დალაპარაკებოდა!... მაგრამ ახლა საამისო დრო არ იყო – დღეს ისედაც აუარება საქმეები ჰქონდა!... მერე, მერე – სხვებს!... ეჰ, რამდენი ხანია, სულ ასე გაიძახის, მაგრამ არ დაილია ეს „მერე, მერე!“ და „სხვები„! ან როდისღა „მერე“ და ვიღა „სხვები„?!... ო, რა წყალსა და ღვარს მიეცეს – ეს რა სატანჯველი გაუჩინეს!... რომელიმე სხვა პლანეტაზე გადასახლება მაინც შეიძლებოდეს!... ან იქნებ გამბედაობა უკვე მოუჩლუნგდა?! ... არა, როდემდე და სადამდე?! რაც იქნება, იქნება – ამათთან კი ახლავე უნდა მივიდეს!... მაგრამ კიდეც რომ მივიდეს, ეს რას მოიტანს – შეიძლება თავიც გაისასაცილოს და მეტი არაფერი!... ან ყველა ამათნაირებთან როგორ მივა?! არა, არა, დღეს რამდენგანაა მისასვლელი – ნეტავი თავისი საქმეები მოითავოს!... აგერ, ჩემი ავტობ... არადა, რა მიმზიდველი წყვილი ჩანდა!...

კაცმა უცებ შემაძრწუნებლად იგრძნო: თავის თავს აღარ ეკუთვნოდა!... მისი არსება ძველებურად ისევ გონებას კი არა, უკვე ფეხებს დამორჩილებოდა!... გულგადაქანებულმა ამის გაფიქრებაღა მოასწრო – სულიერი წონასწორობა არ დავკარგოო და აჰა, თავნება ფეხებმა უშიშრად მიაყენა თავქოჩორა კაცსა და თვალშეხედულ ქალიშვილს!

– უკაცრავად, – კრძალვით მიმართა სახეგაშლილ ულვაშიან კაცს, თან ცდილობდა ერთდროულად გამკლავებოდა როგორც არეულ გულისცემას, ისე უზომოდ ნაპკურ სუნამოს მათრობელა სურნელს, მათთან მისვლისთანავე რომ ეცნოსა და მსუბუქად გააბრუა, – თქვენ მამა-შვილი ხართ?

– კი, კი! – ქალიშვილმა სახე ისე მოიმზიანა, თითქოს ამ ტვიდისპალტოიან უცხო კაცს ეკეკლუცებაო, – დიახ, მამა - შვილი ვართ!

– გახლავართ! – თავის მხრივ კაცმაც დაადასტურა, წარბები შეირუშხა და სუფთად პირგაპარსული, კეპიანი უცნობი ლომისებური მზერით აზომ-ჩაზომა – რაკი იგი ჩამოკონკილი მათხოვარი არ აღმოჩნდა, ამან უფრო შეაფიქრიანა!

– კეთილი!... – შვებით წათქვა კეპიანმა, ჩვეული სიმშვიდე თანდათან რომ უბრუნდებოდა. მან უცნობ მამაკაცს თვალი მამრულად გაუმართა, – თქვენდამი ერთი სათხოვარი მექნება – ნება მომეცით, თქვენს ქალიშვილს რამდენიმე წუთით გამოვესაუბრო... თუ, რა თქმა უნდა, ეს მისი ნება - სურვილიც იქნება!

ქალიშვილმა მამას ამხელადაც დაასწრო.

– კი, კი! – კრიალა ხმით შესძახა და პირისახეზე მოუთმენლობის ღიმილმა შეუთამაშა, – რაზეა ლაპარაკი!

– თუკი ეგ აუცილებელია!... – ორჭოფული თანხმობა განაცხადა ქალიშვილის წინამასწარობით სუნთქვაარეულმა მამამ, ჯიშიანი ნესტოებიდან ახლა ორთქლის ბოლქვებს ცხენივით რომ უშვებდა.

– დიდი მადლობა! – კეპიანმა დაყაბულებულ მამაშვილს ცალ-ცალკე დაუხარა თავი და მის კილოს უცებ საქმიანი აჩქარება დაეტყო, – ოღონდ ერთი პირობით, – მხოლოდ მამას მიმართა, – საუბარში თქვენ არ ჩაგვერიოთ!... თქვენს ქალიშვილს ერთი სიტყვაც არ მოაწოდოთ!... მოკლედ, როგორც მოწმემ, ისე გვისმინეთ!... მერე კი... მერე შინ რომ მიხვალთ, შეგიძლიათ ჩვენი ნაუბარი იქ გააგრძელოთ და განსაჯოთ! შევთანხმდით?

– რაკი ეგრე გსურთ! – ულვაშიანს ხმა შეუბოხდა. ქალიშვილმა გუნებაში თავისებურად შეიოცა – არ აგონდებოდა, მამას ოდესმე ხმა ასე შეჰბოხებოდეს! სადად, მაგრამ გემოვნებით გამოწყობილ ამ უცხო მამაკაცს ტანზრგე ულვაშიანმა ეკლიანი მზერა ისე გადაავლო, თითქოს ეშმაკური ფარული კამერით ჩემს ქალიშვილს რაღაც „საინფორმაციო“ მახეში შეტყუებას უპირებსო!... ეს კეპიანმაც იგრძნო და გუნებაში დაიმახსოვრა!

კეპიანმა მამა-შვილს საქმიანად მიმართა.

– რომელ ავტობუსს ელოდებით?!... საქმე რომ იყოს, შეგიძლიათ ერთი-ორი რეისი თქვენც გამოტოვოთ?

– ჩვენ ავტობუსს არ ველოდებით, – მოჭმუხვნით თქვა ულვაშიანმა, – ჩვენ ნათესავებს ვუცდით!

– გასაგებია, – თითქოს თავისთვისლა წაილაპარაკა კეპიანმა, ქალიშვილს მიაცქერდა და ცოტა არ იყოს, დაულაგებელი დასაწყისი გამოუვიდა, – აი, როგორც საკუთარ შვილს, ისე... სამი შვილი მყავს – ორი ვაჟი და მესამე გოგო... ჩემი ქალიშვილი თქვენზე, ალბათ, რამდენიმე წლით უფროსი იქნება... შარშანწინ გათხოვდა... უკვე ბავშვებიცა ჰყავს...თქვენ გათხოვილი ხართ?

– ჯერ არა !!!

– მით უკეთესი! – მძიმე საფიქრალში გადაკარგულ კაცს ასეთი სულელური დასკვნა თავის სასაუბრო თემასთან მისადაგებით ამოსცდა, ქალიშვილს კი მომდგარი პირღიმილისგან ლოყები ჩაეჩრუტნა – გაუთხოვრობა გათხოვებაზე უკეთესი რანაირად შეიძლება იყოსო?!

კეპიანმა ქალიშვილს მამაშვილურად შეღიმა.

– მაშ, დავიწყოთ ჩვენი საუბარი?

– რაზე?

– ამის წინდაწინ თქმას აზრი არ ექნება!... ეს საუბრის მსვლელობისას თავისთავად გაცხადდება!... თან იცოდეთ: არავითარი ფარული კამერა... დიქტოფონი... პრესა და რადიო - ტელევიზია!... როგორც თქვენ მხედავთ პირველად, მეც ასე ვარ! გაჩერებისკენ რომ მოვდიოდი, შემთხვევით დაგინახეთ და ორივესკენ გულმა ისე გამომწია, თავი ველარ მოვთოკე!... ჰოდა, ეს ჩვენი პირადული გასაუბრება როგორც კი დასრულდება, ჩვენ ჩვენი გზით წავალ-წამოვალთ და ერთმანეთს, ალბათ, ველარასოდეს შევხვდებით! ასე რომ...

ქალიშვილს თითქოს თვალები ჩაენისლა. მოსაუბრემ ბეჯითი ხმით განაგრძო:

– ჩვენს გასაუბრებას არავითარი აზრი არ ექნება, თუ ერთმანეთისადმი გულახდილნი არ ვიქნებით! ამიტომ არაფრის მოგერიდოთ: თქვენზე თუ ისეთ შთაბეჭდილებას მოვახდენ, რომ... შვილიშვილებს გეფიცებით, არ მეწყინება... პირიქით, იქნებ თვალიც ამეხილოს, ალალგულად რომ მითხრათ: თქვენ ვიღაც გამოჩერჩეტებული... შტერი... დროს ჩამორჩენილი ყოფ...

– აჰ, როგორ გეკადრებათ !!!

– არა, არა! აქ საქმე კადრება-უკადრისობას არ ეხება!... გულწრფელი გამონათქვამებისაგან თუ თავს შევიკავებთ, მაშინ ეს ჩვენი წვალება უსარგებლო კატათაგვობანას დაემსგავსება! მაშ, დავიწყოთ?

– დავიწყოთ! – მოუთმენელი ხმით უპასუხა ქალიშვილმა და კრიალა თვალები თავდაჯერებით აუნაპერწკლდა – თქვენ ისეთი რა უნდა მკითხოთ, რომ ჩამჭრათო!

კეპიანმა საპაექროთ შეწკეპილ ქალიშვილს ახლა უკვე სხვა თვალით შეხედა და, თან, თავისდა უნებურად, შენობით მიმართვაზე გადასვლამ მასთან უფრო დააახლოვა!

– გაფიცებ ამ შენს ვაჟკაც მამიკოს, ერთი გულახდილად მითხარი – რატომ გაცვია ეგ თბილი შარვალი, დაბეწვილი ქურთუკი და მაღალყელიანი სქელი სვიტერი?

გაკვირვებულმა ქალიშვილმა ვერ შეიმაგრა დამცინავი ღიმილი:

– ზამთარია... ყინავს და, აბა, როგორ უნდა მეცვას?!

– დიდი მადლობა, შვილო, – გული აუკორკოტდა კეპიანს, – შენი ენა-პირით თვით ღმერთმა მიპასუხა!... ოღონდ ჩემთვის გაუგებარია: თუკი ზამთარია და ყინავს, ეგ კოჭ-წვივებიც შენი არ არის, მაგ სიმაღლეზე რაღას მოგიტიტვლებია – მანდედან უფრო არ გაიყინები და სიცივე მთელ სხეულშიც იოლად გაგიჯდება, ჰა?

– მოდაა!

– მაგას ახალგაზდები იძახით – მოდააო, მაგრამ მოშიშვლებულმა კოჭ-წვივმაც ხომ არ იცის – რაკი ასეთი მოდა ყოფილა, ამიტომ არ გავიყინებიო!... ან მაგ მოდასაც რომ თავი დავანებოთ, აბა, რა აზრი აქვს ასეთ ჩაცმულობას: ზევით – სქლად ჩაბუდნული, ქვემოთ – ტიტველა კოჭ-წვივები!

– ასეთი მოდაა და!...

– მოდაა?! კი მაგრამ, რამდენიმე წლის წინ ასე რატო არავინ დადიოდა?

– ჰმ!... მაშინ არ იყო ასეთი მოდა და როგორ ივლიდნენ?!

– ვააააჰ! ეს ცარიელი სიტყვა „მოდა“ ნაბადია, ბაწრის წინდები თუ შალის პლედი, მანდილოსნები რომ გაათბოს?!. ხოლო თუ ეს მართლა ასეა, აბა, ყინვისაგან დალურჯებულ მაგ კოჭ-წვივებს რატო ვერ გითბობს?

ქალიშვილს წამიერად სიტყვა შეეკრა, მაგრამ მდედრული სიჯიუტით წელანდებურად გაიმეორა:

– მოდაა ასეთი და!...

– მერე, არ დაფიქრებულხარ – კარგია თუ არა ასეთი მოდა?

– უჰ, ასე ყველაფერზე რომ ვიფიქრო, ცხოვრებას ჩამოვრჩები!... ამიტომ საცა ქვეყანა, მეც იქ!!!

კეპიანმა იგრძნო, ჰაერი ძლივსღა ყოფნიდა. იმასაც მიხვდა, მილეული ილაჯის დასაზოგავად მოკლეზე უნდა გადაეყვლა!

– კეთილი!... ის მაინც თუ იცი, ვინ შემოიღო ასეთი მოდა?

– მაგას ვინ გაიგებს!... ან ეგ რაში მაინტერესებს!

– გასაკვირია!... როგორ შეიძლება, არ გაინტერესებდეს!

– რატო უნდა მაინტერესებდეს?

კეპიანი ჩარკინდა, თუმც მაშინვე გაიხსნა შუბლი.

– კარგი, კითხვას მაშინ სხვანაირად შევატრიალებ: იმას მაინც თუ ხვდები, რა მიზნით შემოიღეს ამგვარი მოდა?

– რა მიზნით... რა მიზნით და... უბრალოდ, ახალგაზრდობის გასართობად!

კეპიანს დაწყობილი პირისახე შხამიანმა ღიმილმა მოუმანჭა.

– გასართობად, არა?!... გასართობად კი არა, გასაუბედურებლად!!!

– ჰი - ჰი - ჰი!... ეგ რანაირად?

– ნუთუ ახლგაზრდები თქვენით ვერ ხვდებით?

– ვერა!

– არადა, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა! ბნელეთის მოციქულებმა...

ქალიშვილს კვიმატურად ჩაეცინა ამ „ბნელეთის მოციქულებზე“. ეს მოპაექრემაც შენიშნა და გული ჩასწყდა.

– დაიჯერე, შვილო, და ამნაირი მოდით გატაცებული დაქალებიც როგორმე დააჯერე: ბნელეთის მოციქულებმა ასეთი მოდა განზრახ შემოგვაპარეს, რათა ჩვენს მოზარდ თაობას საკვერცხეები დაუცივდეთ, განაყოფიერების უნარი დაეკარგოთ და თანდათან გადაგვაშენონ!... ისეც ერთი მუჭა დავრჩით – ჩვენ ესღა გვინდა?!...

კაცმა მთელი შემართება მოიკრიბა, ხმაში ცრემლს რომ არ გაეჟონა.

– წელან იმიტომ შეგეკითხე, გათხოვილი ხარ თუ არა-მეთქი. მე კი არსათქმელი წამომცდა, რადგან ფიქრებით სულ სხვაგან ვიყავი!... ჰოდა, ვინ იცის, ასეთი მოდით თავდავიწყებულ რამდენ მკვახეტვინიან ქალიშვილს მერე ქმართან ერთად მოუწევს კლინიკიდან კლინიკაში უშედეგო წოწიალი ანალიზების გასასინჯად, რათა როგორმე დაუდგინონ – ბოლოს და ბოლოს, რა არის მათი უშვილობის მიზეზი!

კეპიანს აზრიანად შეეკრა კოპები.

– რა არის და აი, ეგ არის: ამ ყიამეთში კოჭწვივმოტიტვლებულები გამომწვევად რომ დააბოტებთ და გგონიათ – ჩვენა ვართ, რაცა ვართო!!!

არაქათგამოლეულ კეპიანს სიტყვის მასალა ამოელია და აღარ იცოდა, კიდევ რა ეთქვა, მათი პაექრობა კი ბუნებრივ დაგვირგვინებას ითხოვდა.

– მაშ, დამიჯერე, შვილო – ზურგი აქციე მაგ ქაჯურ მოდას და ამ სიცივეებში ბაწრის თბილი წინდებით იარე!

– ბაწრის წინდები! ჰა-ჰა-ჰა! – ქალიშვილმა პირისახეზე მხიარული ღიმილი გადაიფინა, თავი ურა კვიცივით აიქნია და თვალები გადაიტრიალა, – წინდებით რომ გამოვჩნდე, თანაკურსელებს ხომ სიცილადაც არ ვეყოფი!

ქალიშვილის თვალების მომხიბლავ მიმოქანებაში კეპიანმა უცებ საზარელი რამ შენიშნა – აზროვნების გამყინვარება!!!

სწორედ ამ დროს ზედ მოადგათ ორი ჩაბუდნული ქალი. ახალმოსულებმა მაშინვე იუცხოვეს თავისიანებთან მდგომი ვიღაც კაცი და პირმომდგარი სათქმელი უხერხულად შეიკავეს.

– ბოდიში... მაპატიეთ... ნახვ... აგერ, ჩემი ავტობუსიც! – კეპიანი მამა-შვილს საწყლურად დაეხარა და გაჩერებისკენ ძლეულივით წატორტმანდა.

არც შეუხედავს, „MAN“-ის რომელი ნომერი ავტობუსი ჩამოდგა. მთავარია, აქაურობას დროიანად გასცლოდა, შემთხვევით ისინიც რომ არ ამგზავრებოდნენ!

ავტობუსში ძლივს აბიჯა. ბილეთი აიღო და სალონს თვალი მიმოავლო.

მგზავრების სიმრავლე არ იგრძნობოდა, მაგრამ თავისუფალი ადგილიც არსად ჩანდა.

ავტობუსი დაიძრა. შუახნის ხუწუწებიანმა ქალმა თვალებში დაკვირვებით შემოაშტერა.

– ცუდად ხომ არა ხართ?

კეპიანმა თავი დაუკანტურა.

ხუწუწებიანი გვერდზე მიტრიალდა და რკინიგზის სადგურის დიქტორივით გამოაცხადა:

– კაცი ცუდად არის – ვინმემ დაუთმეთ ადგილი!

ერთი თმადაბურდული გოგო აიზლაზნა და გვერდზე ისე მიდგა, სულ არ დაინტერესებულა, ვინ იყო ცუდად ან ვის უთმობდა ადგილს! მას არც ლავაშისოდენა მობილური ტელეფონისთვის მოუწყვეტია თვალი, არც მის ეკრანზე შეუწყვეტია ცერის ცაცუნი!

მადლობის ნიშნად კეპიანმა მობილურ ტელეფონზე თავჩაქინდრულ ფიგურასღა დაუკრა თავი და დათმობილ ადგილზე დაძაბულად დაეშვა, დაბერტყება რომ არ გამოსვლოდა!...

გვერდით ჩვილბავშვიანი დედა უჯდა, წინ კი ერთი ყავარჯნიანი ბერიკაცი და ერთიც ორმოციოდე წლის ნათრევი ქალი. იგი მობილური ტელეფონით ვიღაც კაცს მგზავრების ანგარიშგაუწევლად ქუჩურად ელავლავებოდა და უხამსად ჩაჩავდა ათასი ოხერ-ტიალის ლოშნისაგან დაცვეთილ ტუჩებს! გამხდარი კოჭწვივები ამასაც ისე მოეტიტვლებინა, თითქოს თექვსმეტიოდე წლის უმანკო გოგუცანააო! აბა, როგორ – თუ მოდაა, მოდა იყოს! ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა ასაკი, არამედ ხალისი და ყინვაგამძლეობა! ქალი კი – ოღონდ თავის წლოვანებასთან შედარებით უფრო ახალგაზრდად მიიჩნიონ და – რას არ გაუძლებს!!!

უტიფრად აყბედებული ამ კოჭწვივმოტიტვლებული ქალისადმი უეცრად ნაფეთქი მძვინვარება ახლა სიბრალულით შეეცვალა! რა ექნა ამ უბედურსაც – ის დამნაშავე კი არა, ჯოჯოხეთის მოციქულთა ერთ-ერთი გზაკვალარეული მსხვერპლთაგანი იყო! ერთი შეხედვით, ამგვარ, ვითომ ჩვეულებრივ, მაგრამ წამტყუებელ მოდურ სიახლეში ო, რა შორს გამიზნული სიბოროტე იყო ჩაფიქრებული და შეფუთული!..

კეპიანის გონებამ უცებ დედამიწის რომელ კუთხე-კუნჭულში აღარ გადაიელვ-გადმოიელვა, რათა ვარაუდით მაინც წარმოედგინა, სად იყო ამ ჯოჯოხეთის მოციქულთა საბუდარი! მაგრამ ამის დაზუსტებას ვინ შეძლებდა! მით უმეტეს, კომპიუტერისა და მობილური ტელეფონის ეპოქაში! ისინი ვითომ არსად, მაგრამ ყველგან და ყველაფერში სუფევდნენ!...ო, რა ჯადობაზურად თამაშობდნენ ნებისმიერი ასაკისა და მრწამსის ადამიანის ბუნების ყოველგვარ თვისებასა და თავისებურებაზე, რათა კაცობრიობა უვაცო ფარად ექციათ და თავიანთი ჩანაფიქრისამებრ ემწყემსათ!...ოოო!...

ლურჯი ავტობუსი თავისი მარშრუტით მისრიალებდა...

კეპიანს კვლავ მტკივნეულად აელანდა წელან ქალიშვილის თვალებში გაელვებული აზროვნების გამყინვარება!

„ეს გამყინვარება ნეტავ, დროებითი იქნება თუ მარადიული?!“ – ახლა ეს კითხვა აეკვიატა.

2021

## მურმან ლებანიძე

***

აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს –
ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის …
და მე ვყვირი: – ჩემს სისხლს დალევს უწინამც!
და მე ვმღერი:
– აფხაზეთი ჩემი!
როსმე „არგო“ (სხვა ხომალდი გუშინაც!)
მოაპობდა ზვირთებს ნიჩბის ცემით...
და მე ვყვირი: – მკვდარსა მნახვენ უწინამც!
და მე ვმღერი:
– აფხაზეთი ჩემი!
ზღვაო პონტის! რიფებს მალავ უჩინარს –
არაერთის ზედ მიემსხვრა გემი...
და მე ვყვირი: – ოხ, უწინამც! უწინამც!
და მე ვმღერი:
– აფხაზეთი ჩემი!

1975 წ.

## ვინც ისტორიას მიწასთან ერთად გვართმევს...



# ლეგენდები, რომლებიც აკნინებს ცნობიერებას

**ალექსანდრე პოტიომკინი აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი მეცნიერია, რომელიც ამჟამად ესპანეთსა და გერმანიაში მოღვაწეობს. მისი ნაშრომების საგაზეთო ვარიანტები ჩვენს გაზეთში წლების წინ იბეჭდებოდა, რამაც ავტორის ყურადღება და კმაყოფილება გამოიწვია. წინამდებარე წერილი აფხაზეთში გაზრდილი კაცის გულისტკივილია, რომელიც მეცნიერულად ამტკიცებს საქართველოს ძირძველი კუთხისა და აქ მცხოვრებთა ჭეშმარიტ ისტორიას.**



## მიმართვა საქართველოს პარლამენტარებს, ჟურნალისტებს, საჯარო დიპლომატიას, საზოგადოებრიობას, უფლებადამცველებს, „აფსუას“ ეთნოსს...

**„აფხაზი“ ეს არ არის ეროვნული კუთვნილება, არამედ ქართული ეთნონიმია, ტოპონიმიც კი. ეს შინაარსობრივად ისეთი ტოპონიმების ტოლფასია, როგორიცაა „თბილისელი“, „ბერლინელი“, „ვარშაველი“, „როსტოველი“.**

**სიტყვა „აზხა“ – ეს მათთვის ვინც არ იცის ან დაავიწყდა – მეგრულად და ლაზურად, და, მაშასადამე, ქართულად ნიშნავს „ზექს“ და „კიდეს“. ამ სიტყვისგან წარმოიშვა „აფხაზეთი“ (რუსულად – „Абхазия“ – ადგილის სახელწოდების პირველი თარგმანი XIII საუკუნის დამლევს გამოიყენეს).**

* * *

ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის დამდეგს შეიქმნა ცნობილი ქართული სამეფო „აფხაზეთი“ (რუსულად „Абхазия“), დედაქალაქი იყო ქუთაისი, სახელმწიფო ენა და დამწერლობა – **ქართული**, რელიგია – **ქრისტიანობა**, მართლმადიდებლობა, ღვთისმსახურება წარმოებდა **ქართულ ენაზე**. მთელი დასავლეთ საქართველო - აფხაზეთი – ეს არის სამეგრელო, გურია, სვანეთი, იმერეთი, ეგრისი, ლაზიკა – მის შემადგენლობაში შედიოდა. ანუ აფხაზები (სიტყვის რუსული ვერსიით „абхазы“) ეს დასავლელი ქართველები არიან. აფხაზეთის სამეფო ჩვენი წელთაღრიცხვის 746 წელს დააარსა **ერისთავმა** (რაც ქართულიდან თარგმანში ნიშნავს „управляющий князь“, სიტყვასიტყვით, ერი – „нация“, თავი – „голова“, ანუ „глава нации“) ლეონ I-მა, ეროვნებით **ქართველმა**, რომლის მშობლიური ენა იყო **ქართული**, სარწმუნოება კი ქრისტიანული. ლათინურად და ბერძნულად „ლეონი“ ნიშნავს „ლომს“. შემდეგ აფხაზეთის პირველი მეფე იყო ლეონ II, ლეონ I-ის ძმისწული, შთამომავლობით ერისთავი, მის შემდეგ კი თეოდოს II (ლეონ II-ის ვაჟი), დემეტრე (ლეონ II-ის ვაჟი) ერისთავები. 861 წელს აფხაზეთის მეფე ხდება იოვანე, მერე ადარნასე, მერე კი ბაგრატ I (სახელი ბაგრატი სპარსულად „ღვთის რჩეულს“ ნიშნავს). შემდეგ: კონსტანტინე (ბაგრატ I-ის ვაჟი), გიორგი (კონსტანტინეს ვაჟი), ლეონი (გიორგის ვაჟი) და ასე შემდეგ.

აფხაზეთის მეფეები მუდამ მხოლოდ **ქართველები** იყვნენ, დედაქალაქი კი იყო ქუთაისი, სახელმწიფო სამეტყველო ენა და დამწერლობა **მხოლოდ ქართული**, რელიგია – მხოლოდ ქრისტიანული, მართლმადიდებლური. იმხანად მეფეებს დიდებული და მნიშვნელობის შემცველი სახელები ერქვათ: ლეონი – „ლომი, ნადირთა მეფე“, გურგინი – მეგრულად და ლაზურად „ჭყექა-ქუხილი“, ტიგრანი – სპარსულად „ვეფხვი“, ბაგრატი ...

იხ. 4-5 გვ.

**რატომ არ უპირისპირდებით თქვენი ეროვნული და საერთაშორისო იურიდიული ინსტანციებით ამ მავნებელ მთხზველებს, რომლებიც თავიანთი ყალბი ისტორიული ვერსიებით ხელს უწყობენ დანაშაულს ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინააღმდეგ? რატომ არ მოაწყვეთ დამოუკიდებელი სამართლიანი გარჩევა და სასამართლო დევნა არ წამოიწყეთ ფაქტების დამახინჯების, ქართველი ხალხის მიმართ წინასწარ განზრახული პოლიტიკური ცილისწამებისა და გენოციდის ბრალდებით?**

**ისმის კითხვა: რატომ უწოდებთ თქვენ, ქართველები „აფსუას“ მცირე უცხო ეთნოსს აფხაზებს? ამით თქვენ შეურაცხყოფთ თქვენს წინაპრებს, ბილწავთ საკუთარ ისტორიას, აკნინებთ და სახელს უტეხთ თქვენს მრავალრიცხოვან ეთნოსს. აფხაზები ეს თქვენ ხართ, ქართველები – მეგრელები, ლაზები, იმერლები, გურულები, კოლხები, იბერები და ასე შემდეგ, ხოლო „აფსუები“ ეს მოსული მცირერიცხოვანი ტომია, რომელიც კავკასიის მთებიდან ჩამოვიდა და დაფუძნდა ამ მიწაზე XIX საუკუნის დამდეგს.**

# მსოფლიო ისტორიის ცენტრები

**„ისტორია იწყება შუმერიდან“** – *სემუელ კრამერი.*

ძვ.წ მე-4 ათასწლეულიდან ძვ.წ. 500 წლამდე მსოფლიო ისტორიის ცენტრი იყო კავკასია, შუამდინარეთი, ირანი, მცირე აზიის ნახევარკუნძული, სირია-პალესტინის ტერიტორია და ეგვიპტე: მტკვარ-არაქსის კულტურა, შუმერი, აქადი, ძველი ეგვიპტე, ელამი, აიეტი და მედეა, ხამურაბის ბაბილონი, თრიალეთის კულტურა, აბრაამი, იაკობი, იოსები და ძმანი მისნი, ჰიქსოსები, ხეთების სამეფო, კასიტები, ხური-მითანი, ეხნატონი, ნეფერტიტი, ტუტანხამონი, რამზესები, ქადეშის ზავი, ხალიბების (ხალდების) მიერ რკინის მეტალურგიის განვითარება, „ზღვის ხალხების შემოსევა“, „ტროას ომი“, მოსეს მიერ ისრაელის გამოყვანა ეგვიპტელთა ტყვეობიდან, ასურეთი, დიაოხი,კოლხური კულტურა, ურარტუ, კიმერიელებისა და სკვითების შემოსევები, ფინიკია, მიდია, ნაბუქოდონოსორ II-ის ბაბილონი და ებრაელთა ტყვეობა, კრეზის ლიდია და კიროს აქემენიანის სპარსეთი. ძვ.წ. 500-334 წლებში მსოფლიო ისტორიის ცენტრმა დასავლეთით, ეგეოსის ზღვის აუზში, გადაინაცვლა: ბერძენ-სპარსელთა ომები, პელოპონესის ომები და მაკედონიის სამეფოს ელადაში გაბატონება. 334-270 წლებში მსოფლიო ისტორიის ცენტრი კვლავ შუამდინარეთ-კავკასიის ხაზზე დაბრუნდა: ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები და ალექსანდრეს მიერ დედაქალაქად ბაბილონის გამოცხადება, სელევკიდების სახელმწიფოს ჰეგემონობა. ძვ. წ. 264-146 წ.წ. მსოფლიო ისტრიის ცენტრი ხმელთაშუაზღვის დასავლეთ ნაწილში გადადის: 3 პუნიკური ომი თავისი ჰანიბალითა და სციპიონით, თუმცა 215-146 წლებში ცენტრი ისევ აღმოსავლეთით „მოჩოჩავს“ – მაკედონური ომები, 190 – მაგნეზიასთან ბრძოლა. ძვ. წ. 89-27 წლებში მსოფლიო ისტორიის ცენტრი ძირითადად ბალკანეთი და მცირე აზიაა: რომი-პონტოს ომები, სამოქალაქო ომები: ფარსალოსი, ბრძოლა ფილიპესთან და აქციუმის კონცხთან. (გამონაკლისი მხოლოდ „გალიის ომია“ ძვ.წ. 58-50 წლებში). ქრისტეშობიდან 1453 წლამდე მსოფლიო ისტორიის ცენტრი შუამდინარეთ-კავკასიის ხაზია: პართია-რომის ომები, ფარსმანები, იუდაელთა ომი, ვესპასიანე, ტრაიანე, ადრიანე, ანტონინე პიუსი... რომისა და სასანური ირანის ომები, ნისიბისის ზავი, ბიზანტიის და სასანიდების ომები, 20-წლიანი ომი ეგრისში, ნინევეას დაცემა, ბიზანტია-არაბთა სახალიფოს დაპირისპირება, თურქ-სელჩუკთა შემოსევები, ჯვაროსნები, დავითისა და თამარის საქართველო, სალადინი, მონღოლები, გიორგი ბრწყინვალეს საქართველო, თემურ-ლენგი და გიორგი VII, კონსტანტინოპოლის დაცემა. 1453 წლიდან მსოფლიო ისტორიის ცენტრი ჯერ მედიჩების რენესანსულ იტალიაში, ხოლო მე-16 საუკუნიდან ატლანტიკის ოკეანის სანაპიროებზე გადადის: პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ბრიტანეთი, მათი აღმოჩენები და მათ შორის ომები. 1789 წლიდან 1991 წლამდე მსოფლიო ისტორიის ცენტრი ევროპის კონტინენტია: საფრანგეთის რევოლუცია, ნაპოლეონის ომები, პრუსია-გერმანიის იმპერია, იტალიის სამეფო, ვიქტორიას ბრიტანეთი, პირველი და მეორე მსოფლიო ომები სტალინ-ჰიტლერ-მუსოლინ-ჩერჩილ-რუზველტით. აშშ-სსრკ-ს ცივი ომი, რომლის ცენტრალური ცეცხლის ხაზიც ბერლინის კედელია. 1990-იანი წლებიდან მსოფლიო ისტორიის ცენტრი კვლავ სირია-პალესტინა, ირან-ავღანეთ, კავკასია-შუამდინარეთის რეგიონს უბრუნდება, რომლის ბუნებრივი ცენტრიც კავკასია-შუამდინარეთია: ერაყის ომი, რუსეთ-საქართველოს ომი, ავღანეთის ომი, ომი სირიაში, ისრაელის ომები. მსოფლიო ისტორიის 6000 წლიდან 5000 წელი კავკასია-შუამდინარეთი მსოფლიო ისტორიის ცენტრი იყო. ამ ცენტრში გაძლება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. 1453-1991 წლებში საქართველო თავის ბუნებრივ ცხოვრების წესს იყო გადაჩვეული და პოლიტიკურად ამ პერიოდში საქართველო მოკვდა (1453 წელს კონსტანტინოპოლი დაეცა და 1465 წელს საქართველო სამეფო-სამთავრო-სათავადოებად დაიმსხვრა), რადგან მსოფლიო ისტორიის ცენტრი დროებით დასავლეთში იყო გადატანილი და კავკასია-შუამდინარეთი გეოპოლიტიკურ ჯურღმულად იყო ქცეული. 1991-დან მსოფლიო ისტორიული ცენტრი კვლავ კავკასია-შუამდინარეთში ბრუნდება, რაც ერთდროულად სახიფათოცაა და უდიდეს შესაძლებლობათა მომტანიც!

სვიმონ მასხარაშვილი,
პროფესორი

# ვინც ისტორიას მიწასთან ერთად გვართმევს...



ალექსანდრე პოტიომკინი,
შლეზვიგ-ჰოლშტაინი, გერმანია
(თარგმანი გერმანულიდან)

# ლეგენდები, რომლებიც

## მიმართვა საქართველოს პარლამენტარებს, ჟურნალისტებს, საჯარო დიპლომატიას, საზოგადოებრიობას, უფლებადამცველებს, „აფსუას“ ეთნოსს...

(მესამე გვერდიდან)

### აფხაზეთის ყველა მეფე იყო ქართველი

აფხაზეთის მხარე ისტორიულად ქართული მხარეა, ქართველთა გარდა, იქ ცხოვრობდნენ სხვა მცირერიცხოვანი ეთნოსები – ბიზანტიელები, პონტოელი ბერძნები, თურქები, სპარსელები, აზერები (აზერბაიჯანელები) და სხვა მცირე კავკასიელი ტომები. ეთნოსს სახელად „აფსუა“ არავინ იცნობდა. სიტყვა „აფსუა“ პონტოურ-ბერძნულად ნიშნავს „უსულოს“. ასო „ა“ ბერძნულად უარყოფას ნიშნავს, ხოლო „ფსია“ – „ფსუა“ ნიშნავს სულს, ცნობიერებას, ამ სიტყვისგან წარმოიშვა მეცნიერების დარგების „ფსიქოლოგიის“, „ფსიქიატრიის“ სახელწოდებანი. ქალაქ სოხუმის უძველესი სახელწოდება მომდინარეობს მეგრული სიტყვისგან „აკუჯიხა“. „აკუ“ მეგრულად ნიშნავს „ზღვას“, „ჯიხა“ – „ციხესიმაგრეს“. სიტყვა „სოხუმი“ მეგრული წარმოშობისაა: „თევზი“ მეგრულად არის „ჩხომი“.

ქალაქის სახელწოდება „სოხუმი“ XIII საუკუნის დამლევს წარმოიშვა. ბერძნები ადრე მას „დიოსკურიას“ უწოდებდნენ, თურქები – „სოხუმ-კალეს“, სპარსელები – „ბაგრატ-კალეს“, ქართველები – „ცხუმს“.

მაგრამ ისტორიაში არასდროს ჰქონია ქალაქს სახელწოდება „აფსუას“ ენაზე. მათ ენაზე ამ შესანიშნავ ადგილს XIII საუკუნიდან დღემდე ეწოდება „აკუა“ – პირველი ნაწილი ძველი მეგრული სახელწოდებისა „აკუჯიხა“.

არსებობს



ბედიის მონასტერი

ათასობით ისტორიული წყარო: სიტყვა „აფხაზეთი“ ეს ძირძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს დასავლეთ საქართველოს და შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე ქართული ეთნოსის და არა „აფსუას“ ტომის განსახლების ადგილს. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულიდან დასავლეთ ამიერკავკასიაში სჭარბობს ქართველური ეთნოსი. ამ მოსაზრებას განამტკიცებს კოლხეთში არგონავტების ჩამოსვლის შესახებ ბერძნული მითოლოგიის მონაცემები და ბერძნული წერილობითი წყაროები (სტრაბონი, ჰეკატეოს მილეთელი, სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი), რომლებშიც მითითებულია, რომ კოლხეთის სამეფო მოიცავდა დასავლეთ საქართველოს მთელ დაბლობს, სადაც ძირითადი ეთნოსი იყო ქართული.

მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში ბერძნულ წერილობით წყაროებში ერთი სტრიქონით მოიხსენიება ლაზიკის („აფხაზეთის“) ჩრდილოეთით მცხოვრები მცირე ტომები – აფსილები და აბაზგები.

უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების რუსული და ევროპული მატიანეები მიუთითებენ, რომ იბერები (ქართველები) და აფხაზები (ქართველები) ერთი ხალხია, ერთი დამწერლობის და ერთი კულტურის მქონე. ამ მოსაზრებას განამტკიცებს პლინიუსის, არიანე ფლავიუსის, ჟან შარდენის, არქანჯელო ლამბერტის, ევლია ჩელების ისტორიული კვლევითი მასალები.

ცხუმელი მქადაგებელი პიეტრო გერალდი 1330 წელს მოქალაქეებისადმი მიწერილ წერილში ჩამოთვლის ქალაქის მცხოვრებთ: ქართველებს, ბერძნებს, მუსლიმანებს და ებრაელებს. ვატიკანის XV საუკუნის რუკაზე მდინარე კელასურის შესართავთან (ცხუმის გარეუბანი) მითითებულია პუნქტი „პორტო მიგრელო“, ხოლო ქალაქ გუდაუთის რაიონში პორტი „კავო დე ბუქსო“.

ცნობილი თურქი გეოგრაფი და ისტორიკოსი ევლია ჩელები წერდა, რომ „აფსუას“ ტომი „არ იცნობს ყურანს და საერთოდ არა აქვს არანაირი რელიგია“ და დამწერლობა.

რა თქმა უნდა, როგორც ძველი, ისე ახალი წელთაღრიცხვის სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში იბერიის (საქართველოს) ვრცელ მიწა-წყალზე ხდებოდა ტომების გადასახლება, მაგრამ ისინი იმდენად მცირერიცხოვანნი იყვნენ, რომ ქვეყნის ისტორიაში კულტურული კვალი არ დაუტოვებიათ.

XVIII საუკუნიდან აფსუას ტომები (რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებამდე მდინარე ყუბანის კალაპოტის გასწვრივ მთიან რაიონებში ცხოვრობდნენ), აბაზგები (ჩერქეზულ-ადიღეური ტომები), სხვა ჩრდილოკავკასიელი მთიელები მცირე ჯგუფებად სახლდებიან ამ რაიონებში, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ ქართველ და რუს მეფეთა შორის პირველი სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების გამოძახილია.

XVI საუკუნის დამდეგიდან სპარსელები და თურქები კავკასიელ ტომებს უწოდებენ „აბაზას“, რაც სპარსულად „სპილენძის მონეტას“ ნიშნავს. სპარსელი ისტორიკოსების კომენტარებში ეს სიტყვა „იაფი მუშახელის“ მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა.

1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი - საქართველოს საზღვარი კავკასიის ქედზე გადის. საქართველოს შეერთების შემდეგ, სახელმწიფოს სახელწოდების „საქართველოს“ ამოძირკვის მიზნით, რუსეთი მის მიწა-წყალს ტიფლისისა და ქუთაისის გუბერნიებად ჰყოფს. შიდა ქართლის პროვინცია (ქართლი აღმოსავლეთ საქართველოა, აფხაზეთი – დასავლეთ საქართველო) შედის თბილისის გუბერნიაში, ხოლო აფხაზეთი – ქუთაისის გუბერნიის სოხუმის სამხედრო ოლქში. ქუთაისი **აფხაზ მეფეთა** ისტორიული სატახტო ქალაქი იყო.

ისმის კითხვა: რატომ უწოდებთ თქვენ, ქართველები „აფსუას“ მცირე უცხო ეთნოსს აფხაზებს? ამით თქვენ შეურაცხყოფთ თქვენს წინაპრებს, ბილწავთ საკუთარ ისტორიას, აკნინებთ და სახელს უტეხთ თქვენს მრავალრიცხოვან ეთნოსს. აფხაზები ეს თქვენ ხართ, ქართველები – მეგრელები, ლაზები, იმერლები, გურულები, კოლხები, იბერები და ასე შემდეგ, ხოლო „აფსუები“ ეს მოსული მცირერიცხოვანი ტომია, რომელიც კავკასიის მთებიდან ჩამოვიდა და დაფუძნდა ამ მიწაზე XIX საუკუნის დამდეგს რუსეთ-კავკასიის ომის დროს, რომელიც გენერალმა ერმოლოვმა დაასრულა. იმხანად ისლამის მიმდევარი ათასობით კავკასიელი მთიელი გადასახლდა თურქეთში, ხოლო ისინი, ვინც ეს ვერ მოახერხა – ადიღელები, აბაზგები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ბალყარები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ტომები შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრდნენ – ოჩამჩირიდან ანაპამდე. 1917 წლის რევოლუციამდე მათი განსახლების ადგილს ეწოდებოდა ქუთაისის გუბერნიის სოხუმის სამხედრო ოლქი. ძალაუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა ამ რეგიონს შეუცვალეს სახელი, რომელსაც საფუძვლად დაედო ადგილის ისტორიული სახელწოდება – აფხაზეთი. ამ მომენტიდან ქართული ტოპონიმი „აფხაზეთი“, როგორც რეგიონის აღმნიშვნელი საკუთარი სახელი, დამკვიდრდა და დღემდე არსებობს, ხოლო ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მეორე და მესამე თაობის ახალმოსახლეს ეწოდა ეთნონიმი „აფხაზი“. ახალი სახელწოდებით გაერთიანებულ მცირე ეროვნებათა რაოდენობრივი შემადგენლობა არასდროს აღემატებოდა 30-35 ათას კაცს. არადა, „აფხაზეთის“ საერთო მოსახლეობა დაახლოებით ხუთასი ათასს შეადგენდა. ბევრი მიეკედლა ამ ახალ ერთობას, რათა მოეხდინა თავისი სამოქალაქო სტატუსის ლეგალიზება, ელიტური ერის წარმომადგენელი გამხდარიყო და სოციალური პრეფერენციები მიეღო.



ბაგრატ III (ბედიის ფრესკა)

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ „აფხაზი“ ეროვნება კი არ არის, არამედ ეთნონიმია.

„აფსუების“ (ეთნონიმ „აფხაზის“ მიმთვისებელი სხვა ეროვნებების) ენაზე წყლის ძუძუმწოვართა და თევზების სახეობათა – დელფინის, კალმახის, სტავრიდის, კამბალის, ხონთქარას (ბარაბული) აღმნიშვნელი ერთი სიტყვაც კი არ არსებობს. მათ აქვთ ერთი სიტყვა „арыба““. და საერთოდაც, „აფსუების“ ენა მეტად ღარიბი და უმნიშვნელოა თავისი მოცულობით, მასში ბევრი ნასესხები სიტყვაა მეგრული და რუსული ენებიდან. ქართული ენა კი ეს უძველესი და სილამაზით მდიდარი ენაა, ეს მეცნიერების, კულტურის, პოეზიისა და ლიტერატურის ენაა. ქართული ენა ოდითგანვე ღვთისმსახურების ენაა ამ მიწაზე. ეკლესია ჯერ კიდევ IX საუკუნეში გამოეყო ბიზანტიის ეპარქიას და აფხაზეთის კი არა, სრულიად საქართველოს ეკლესია გახდა.

ქართული კულტურის უძველესი ცენტრი და სატახტო ქალაქი იყო ქართული ქალაქი ქუთაისი. „აფსუები“ არასდროს ყოფილან ქრისტიანები და კულტურის, არქიტექტურის, დამწერლობის არანაირი ძეგლი არ შეუქმნიათ.

სულ ცოტა ხნის წინანდელ მაგალითს მოგიყვანთ: ბოლო ოცი-ოცდაათი წელია აღშფოთებას გამოხატავდნენ, სასამართლო დავას აწარმოებდნენ ევროპულ სასამართლოებში, ამტკიცებდნენ, რომ ქვეყანა მაკედონიას არ აქვს უფლება ეს სახელი ეწოდებოდეს. მაკედონელები ეს ისტორიულად ბერძნული ეთნოსია და არა სლავური. და ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც თავისას – მაკედონიას ჩრდილოეთ მაკედონია ეწოდა.

**თანამედროვე „დამოუკიდებელ აფხაზეთს“ არც ისტორიული, არც იურიდიული უფლება არა აქვს სხვისი ისტორიული სახელი ჰქონდეს. აფხაზები ეს ქართული ეთნოსია, ამ მხარეს კი უნდა ერქვას „დროებითი აფსუა“. ამ ეთნოსის წარმომადგენლები ისტორიულად თავს „აფსუებს“ უწოდებენ, თავიანთ ქვეყანას კი „აფსნის“ და არა „აფხაზეთს“. საქართველოს პარლამენტარებს ვთავაზობ, განიხილონ და დაამტკიცონ ამ მიწა-წყლის ოფიციალურ სახელწოდებად „დროებითი აფსუა“ და არა აფხაზეთი.**

# ვინც ისტორიას მიწასთან ერთად გვართმევს...

„აფხაზი“ ხალხი ეს გამოგონილი ხალხია, მეფის რუსეთის ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქში ბოლშევიკების დამკვიდრებული. თქვენ, ქართველები რატომ იჩენთ ასეთ სასტიკ გულგრილობას საკუთარი ისტორიისადმი და წინაპართა ხსოვნისადმი? რატომ დაუშვით უცხო ხალხისთვის „აფსუებისთვის“ აფხაზები ეწოდებინათ და კვლავაც ასე უწოდებთ, ხოლო ომით წართმეულ თქვენს ისტორიულ მიწა-წყალს, საიდანაც იარაღის ძალით გამოდევნეს ასიათასობით ქართველი, ათიათასობით კი დახოცეს და დახვრიტეს, – აფხაზეთს!

რატომ არ აღშფოთდებით, რატომ არ მოითხოვთ, რატომ არ ჩივით იმის გამო, რომ „აფსუას“ ხალხის ახალი დამწერლობა, რომელიც მხოლოდ 1954 წელს შექმნა ქართული გვარის კაცმა გულიამ (ქართულად „გული“ ნიშნავს „сердце“), აფხაზებს მიაწერეს? 1954 წელს გაჩნდა „აფსუების“ პირველი სკოლა და მას „აფხაზური“ უწოდეს. ბოლშევიკებმაც შეგნებულად ბევრი შეცდომა დაუშვეს ქართველი ხალხის ისტორიაში ეთნიკური კუთვნილების დაცვის საკითხში. ახლად მოვლენილ დამწერლობას უნდა ეწოდებოდეს „აფსუა“ და არავითარ შემთხვევაში „აფხაზური“. ეს ფაქტი ხომ კულტურული დრამაა და ფსიქოლოგიური დივერსიაა ქართველი ხალხის წინააღმდეგ. აფხაზები, ანუ ქართველები თავიანთი დამწერლობით IV საუკუნიდან, ხოლო მეორე ვერსიით ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან სარგებლობენ.

# აკნინებს ცნობიერებას

თანამედროვე ეტაპზე ისტორიულ და სამართლებრივ დიალოგებში საქართველო არ ავლენს ჯეროვან თანამიმდევრულობას, მკაცრად არ იცავს თავის ისტორიულ ტოპონიმურ, ჰიდრონიმურ, ეთნოტოპონიმურ საკუთარ სახელწოდებებს! კოლხეთი, ადრე ბერძნების მიერ კოლონიზებული, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთელ დაბლობს მოიცავს, ასევე მუდამ ქართველ ხალხთან იყო დაკავშირებული და არა „აფსუებთან“. იმ ეპოქის არც ერთი დოკუმენტი არ არსებობს, საპირისპიროს რომ ამტკიცებდეს.

ბერძნებმა დიდი გავლენა მოახდინეს ქართველი ერის – მეგრელების, სვანების, გურულების, იმერლების, აჭარლების, ლაზების და სხვათა ცივილიზაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში ფაზისად (ბერძნულად „მარად ცოცხალს“ ნიშნავს) წოდებულ კოლხეთის პორტს, ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში სახელი გადაერქვა და დღემდე ფოთი ეწოდება, რაც ბერძნულად ნიშნავს პონტოს – შავ ზღვას. XI საუკუნემდე საღვთისმეტყველო წიგნები ბერძნულ და ქართულ ენებზე იყო, შემდგომ – მხოლოდ ქართულ ენაზე. ღვთისმსახურება დღესაც ძველ ქართულ ენაზე წარმოებს. ყველა ქრისტიანთა წმინდა წერილი – ახალი აღთქმის 27 წიგნი დაწერილია როგორც ბერძნულ, ასევე ქართულ ენაზე.

*ვიკიპედიაში აფხაზეთის შესახებ ინფორმაცია ხშირად ფეიკია, მოგონილია. ფეიკების ერთ-ერთი ცნობილი შემთხზველი გახლავთ რუსი კონსტანტინე ზატულინი და სხვა* „ისტორიკოსები და განმანათლებლები“*: ასლან ავიძბა, ერმილე აჯინჯალი, შალვა ინალ-იფა, გივი სმირი, ომარ მაანი, რომლებიც სამეცნიერო და ისტორიულ წიგნებში, ჟურნალებში, ინტერვიუებში ყალბ ფაქტებს ავრცელებენ. მათი განცხადებები ეს ბოდვაა, ეშმაკისეული და თავხედური მტკნარი სიცრუეა. ხოლო ე. აჯინჯალის ციტატა „...აფხაზეთში სახელმწიფოებრიობა შესაძლოა იესო ქრისტეს დაბადების პირველივე საუკუნეებში ჩამოყალიბდა...“ – ისტორიული მოსაზრება კი არა, სრული ნაყალბევია, ფეიკია. ეს შეიძლება სიმართლე იყოს მხოლოდ აფხაზეთთან მიმართებაში და არა აფსნისთან (აფსუა, აფხაზეთი), ის კი აფსუას გულისხმობს.*

რატომ არ უპირისპირდებით თქვენი ეროვნული და საერთაშორისო იურიდიული ინსტანციებით ამ მავნებელ მთხზველებს, რომლებიც თავიანთი ყალბი ისტორიული ვერსიებით ხელს უწყობენ დანაშაულს ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინააღმდეგ? რატომ არ მოაწყვეთ დამოუკიდებელი სამართლიანი გარჩევა და სასამართლო დევნა არ წამოიწყეთ ფაქტების დამახინჯების, ქართველი ხალხის მიმართ წინასწარ განზრახული პოლიტიკური ცილისწამებისა და გენოციდის ბრალდებით?

ბევრ აფხაზს (ნამდვილ ქართველს) ხოცავდნენ ერთადერთი მიზეზით: „თუ ქართველი ხარ, მაშ, მიიღე შუბლში ტყვია! “ ათიათასობით ადამიანი დახოცეს – მკვლელების ცნობიერებას სეპარატისტების მაამებელ ყალბ კომენტატორთა სიცრუე აყალიბებდა.

1992-1994 წლებში ქართველთა (აფხაზთა) გენოციდის საზარელი ფაქტი მსოფლიოს საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის საკმარისად არ არის ცნობილი და სუსტადაა დეტალურად გაშუქებული. ეს თქვენი ბრალია, საქართველოს საჯარო პირნო! ეროვნული ისტორიის განმავლობაში უძველესი დროიდან მეზობელ ქვეყნებს - რომაელებს, ბიზანტიელებს, არაბებს, სპარსელებს, თურქებს და სხვებს არაერთგზის დაუპყრიათ თქვენი მიწები, რათა დაემონებინათ ქართველი ხალხი, მაგრამ ახერხებდით თქვენი ტერიტორიების და კულტურის აღდგენას. ამიტომაც შეგარქვეს რამდენიმე ათასი წლის წინათ სპარსელებმა „გურჯები“, თქვენს ქვეყანას კი „გურჯისტანი“ უწოდეს, რაც სპარსულად „მგლების ქვეყანას“ ნიშნავს. ახალი ერის დაწყებიდანვე თქვენი ხალხი მსოფლიოში ცნობილია ენერგიული ცივილიზაციური წინსვლით, საქართველო მუდამ იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მდიდარი კულტურის არსენალი.

**დიდი იმედით ველი, რომ უახლოეს ხანში დაიცავთ და ქართველ ხალხს დაუბრუნებთ თავის ადრინდელ მიწა-წყალს.**

„დროებითი აფსუას“ დამოუკიდებლობისთვის 1992-1993 წლების საომარ მოქმედებებში დაახლოებით 3000 უცხოელი მოხალისე მონაწილეობდა. უცნობი თვითმფრინავები ბომბავდნენ, „გრადები“ ესროდნენ, ტანკები ანგრევდნენ ქალაქ სოხუმს და „აფხაზეთის“ სხვა დასახლებულ პუნქტებს, რომ ქართველები გამოედევნათ. 300 ათასზე მეტი მოქალაქე სიკვდილის შიშით იძულებული გახდა მიეტოვებინა მშობლიური კერა, 40 ათასზე მეტი დახვრიტეს და დახოცეს.

ამასთან 247 სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა ლეონის ორდენით (1992 წელს შემოიღეს განსაკუთრებული სიმამაცის, გმირობის, წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის). რამდენად უნდა ყოფილიყო გახრწნილი და დამახინჯებული ამ ფეიკური იდეების ავტორთა ცნობიერება, რომ ქართველი ხალხის მკვლელობისთვის ქართველივე მეფის ლეონის სახელობის ორდენი შემოეღოთ ჯილდოდ.



აფხაზეთში ტაძრის ნანგრევებში აღმოჩენილი სტელა ძველი ქართული წარწერით.

„აფსუების“ ტომის ისტორიაში არაფერი არ არის: არც კულტურა, არც ენა, არც ძეგლები – მხოლოდ ყურით მოთრეული ამბიციები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „აფსუები“ არ აღიარებდნენ ქრიატიანობას და შორს იყვნენ მართლმადიდებლებისთვის კანონიკური წმინდა წიგნებისგან, ასევე ქრიატიანული მოძღვრების სხვა წყაროებისგან. ადრე, საუკუნეთა განმავლობაში „დროებითი აფსუას“ მიწა-წყალზე მოქმედებდა 140-ზე მეტი ტაძარი და მონასტერი, რომლებიც გამოირჩეოდა საქართველოსთვის დამახასიათებელი არქიტექტურული სტილით, აფხაზეთის სამეფოს არსებობის პერიოდში ჩამოყალიბებული დეკორითა და ფასადური პლასტიკით. ახლა მხოლოდ 15 ტაძარი და 2 მონასტერი მოქმედებს. ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას ეროვნული თავისებურება ახასიათებს. ყველა ტაძარი და ეკლესია ქართველი ოსტატების აგებულია და განმეორებულია ქვეყნის სხვა რეგიონებში.

მე და საქართველოს მრავალი სხვა გულშემატკივარი გთხოვთ დაიცვათ ევროპის უძველესი სახელმწიფო. VI-X საუკუნეების ევროპაში სულ ოთხი სახელმწიფო არსებობდა: გერმანელი ერის წმინდა რომის იმპერია (დედაქალაქი ახენი), ინგლისის სამეფო (დედაქალაქი ვინჩესტერი), რუსეთი (დედაქალაქი კიევი) და აფხაზეთი (დედაქალაქი ქუთაისი, მხოლოდ ქართული ეთნოსი, სახელმწიფო ენა და დამწერლობა -– ქართული, რელიგია – ქრიატიანობა (მართლმადიდებლობა).

ჩვენ ყველა, ვისაც გვიყვარს საქართველო, მისი ხალხი და კულტურა, თქვენგან აქტიურ მოქმედებას ველით!

თქვენ კი, „აფსუა“ ხალხო, თქვენი ჯიუტი და აშკარა მცდელობა, მიიწეროთ საქართველოს მაღალი ცივილიზაციური კულტურა, სხვადასხვა ფრაგმენტებშია გამოხატული. „აფსუას“ ეთნოსი სარგებლობს სხვისი მემკვიდრეობით და მონაპოვრებით, გვარებიც კი მიითვისეს, რადგან თავისი არ ჰქონდათ. თქვენს ტომს საკუთარი სახელები არ ჰქონია. ისტორიული ფესვების რეალობას ეტიმოლოგია ადასტურებს.

თანამედროვე „დროებითი აფსუას“ – ისტორიულად ქართული „აფხაზეთის“ – მოქალაქეთა 80 პროცენტზე მეტმა მიისაკუთრა ნაცნობების, მეზობლების და ყველა გარშემო მცხოვრების წმინდა **ქართული სახელები და გვარები**. ეს აქცია ეხმარებოდა მათ საკუთარი თავის ლეგალიზაციაში, ახალი წარმონაქმნის – ბოლშევიკური აფხაზეთის სოციალურ ლანდშაფტში თავიანთი ხალხის ინტეგრაციაში. თქვენ სრულიად მოურიდებლად მიითვისეთ ქართული გვარები, თუმცა თავს ისევ „აფსუებს“ უწოდებთ.

მოგიყვანთ რამდენიმე ასეთ გვარს: **კაკალია** (მეგრული „კაკალი“), **ლომია** (ქართული „ლომი“), **მიმინოშვილი** (ქართული „მიმინო“), **თოფურია** (მეგრული „თოფური“, ქართულად ნიშნავს „თაფლს“), **ბედია** (ქართული „ბედი“), **ჯიქია** (ქართული „ჯიქი“), **ქობალია** (მეგრული „ქობალი“,ქართულად ნიშნავს „პურს“), **ძიძარია** (ქართული „ძიძა“), **ცაავა** (ქართული „ცა“ და „ავა“), **მელია** (ქართული „მელა“), **ღვინჯილია** (მეგრული „უღრანი ტყე“), **ზარანდია** (მეგრული „ზარი“ და „დია“, ქართულად „დიასახლისი“), **ჩემია** (ქართული „ჩემი“).

„აფსუების“ 630 გვარიდან 500-ზე მეტი ასეთი გვარია, მათი საკუთარი გვარები კი 100-ზე ნაკლებია. 500-ზე მეტ გვარს ქართული ძირი აქვს.

არაღიარებული რესპუბლიკის მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრებსაც კი ქართული გვარები აქვთ. და ამასთან ქართველებს მტრებს უწოდებთ! თქვენ გადამთიელების და ომის დახმარებით ისტორიული მიწებიდან, მამაპაპისეული სახლებიდან გამოყარეთ ძირძველი მოსახლეობა, ნაწილი კი დახვრიტეთ. მაგრამ აფხაზეთის მთელი მიწა-წყლის მრავალათასწლოვანმა ისტორიამ შემოინახა ქართული ტოპონიმები – ჰიდრონიმები, ოიკონიმები, ორონიმები.

„აფსნის“ მთავრობის ზოგიერთ წევრთა გვარები: **ანქვაბი** ( ქართული „ქვაბი“), **ბჟანია** („ბჟა“ მეგრულად „მზეს“ ნიშნავს), **კვიციმია** (ქართული „კვიცი“), **ქაჯაია** (ქართული „ქაჯი“), **ჯინჯოლია** („ჯინჯი“ მეგრულად „ფესვს“ ნიშნავს), **ბებია** (ქართული „ბებია“), **გაბლია** (მეგრულად „გავლენას“ ნიშნავს), **გუნია** (მეგრულად ნიშნავს „ჰგავს“).

**აკადემიური მეცნიერული ცნებების საყოველთაო მნიშვნელობა:**

**ტომი**. ეთნოსის ყველაზე ადრეული ფორმა. მის წარმოქმნას წინ უძღოდა ადამიანთა გაერთიანება ოჯახებად, საგვარეულოებად და კლანებად.

**ეროვნება**. ეთნოსის შედარებით განვითარებული ფორმა, რომელმაც ჩაანაცვლა ტომი. ტომისგან განსხვავდება იმით, რომ მოიცავს ადამიანთა დიდ რაოდენობას; მისი წარმოქმნა უკავშირდება სახელმწიფოს წარმოქმნას, რომელიც ერთ მთლიანობად აერთიანებს დიდ მიწა-წყალს; ადამიანთა გაერთიანებას საფუძვლად უდევს არა მარტო ნათესაურ-გვაროვნული კავშირები, არამედ ენობრივი, ტერიტორიული, ეკონომიკური და კულტურული ნიშნებიც.

**ერი**. ეთნოსის ტიპი, ადამიანთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია საერთო ინსტიტუტებითა და ფასეულობებით. ერის ნიშნებია: ერთიანი ტერიტორია, ერთიანი ენა; საერთო ეკონომიკური სისტემა; ერთიანი ეროვნული ხასიათი, სოლიდარობის გრძნობა.

**P. S**. ამ მიმართვაში მოცემულ ჩემს მოსაზრებებში ყველაზე ნაკლებად ქართული წყაროები დავიმოწმე და არგუმენტაციისა და დასკვნებისთვის რომაული, ბერძნული, ევროპული, თურქული და სპარსული მასალები გამოვიყენე.

**წყაროები:**

➢ Barthold, W.; Minorsky, V. (2012-04-24). “Abkhāz”. Encyclopaedia of Islam, 2nd Edition

➢ [ინგლhttps://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%BD%D0%B3%D0%BB%D0%B8%D0%B9%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%8F%D0%B7%D1%8B%D0%BA].

➢ Toumanoff, Cyril. Studies in Christian Caucasian history .— Washington: Georgetown University Press, 1963.

➢ S. H. Rapp, Studies In Medieval Georgian Historiography: Early Texts And Eurasian Contexts, Peeters Bvba (September 25, 2003) ISBN 90-429-1318-5 pages 144, 230-237, 481-484

➢ [ინგლhttps://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%BD%D0%B3%D0%BB%D0%B8%D0%B9%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%8F%D0%B7%D1%8B%D0%BA].

➢ Toumanoff C., Chronology of the Kings of Abasgia and other Problems // Le Muséon, 69 (1956), S. 73-90.

➢ [ინგლhttps://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%BD%D0%B3%D0%BB%D0%B8%D0%B9%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%8F%D0%B7%D1%8B%D0%BA].

➢ (2013) The Abkhazians: A Handbook. Routledge. ISBN 978-1136802058.

➢ Georgiy I Mirsky, G I Mirskii, On Ruins of Empire: Ethnicity and Nationalism in the Former Soviet Union (Contributions in Political Science), Greenwood Press (January 30, 1997) ISBN 0-313-30044-5

➢ Гамкрелидзе Т.В., Иванов В.В. Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984, с. 907-909.

➢ Табагуа И. Грузия в архивах и книгохранилищах Европы, III

**ნაშრომები ავტორებისა:**

➢ პლინიუსი

➢ არიანე ფლავიუსი

➢ ჟან შარდენი

➢ არქანჯელო ლამბერტი

➢ ევლია ჩელები

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N205, 2021 წელი

# სანდრო ბერიძე

## წრიული

როცა ქაოსით მღვრიე ცა დაწდა,
არც მარტი იყო და არც თიბათვე,
შენი ბედი კი მაშინ გადაწყდა,
დაბადებამდე რომ დაიბადე.

უფალი ღრუბლის გემით შეგცილდა,
არც კი ახსოვხარ, ალბათ, მას ახლა,
ბრალი იმისი, ვინაც ზეციდან
გადმოგაგდო თუ გადმოგასახლა.

მიწიონელის დამღა გეკეთა,
სხვა გალაქტიკებს ამოდ უძახი.
სიკვდილ-სიცოცხლე აქ დაგებედა,
ამ მზისქვეშეთის შენ ხარ ტუსაღი.

მიხვალ არსაით და ფიქრს მიიშლი,
არც დაცული ხარ, არც განწირული.
არა მგონია შეგხვდეს ფინიში,
მიწა – ბურთია, გზა კი – წრიული.

გინდა დარჩი ან გასცილდი ტიხარს,
უაზრობაა რა გზას აირჩევ.
გაიქცევი და სიკვდილთან მიხვალ,
გამოიქცევი –აქ მოხვალ ისევ.

შენნაირები მიდი-მოდიან,
შეამქრებიათ წვა და წვალება.
სიკვდილი მართლა ბუა როდია,
დაბადებაა გარდაცვალება.

წვალებით შუბლი რად დაიორთქლე,
სიზმარს ცხადი ცვლის, ცხადს კი – სიზმარი.
შენ აღარ გახსოვს ადგილი, თორემ,
გუშინ რომ იდექ, ისევ ის არის.

წერას ბედისას რად არ ნებდები,
ურჩობას ამდენს ინანებ მწარედ.
არ მიგიღებენ სხვა პლანეტები,
სხვისი სახლია წრიულის გარეთ.

## ზათუმი

ზღვაზე თვალცეცხლა მზე იკოცნება,
ბულვარში შვიდი მაისი ფეთქავს.
დაუკითხავად თეთრი ოცნება
ცას ასკდება და შუაზე ხეთქავს.

სავალს არ უჩანს ბოლო და კიდე,
დარდია ფუჭი, ცრემლია ამო.
დაკარგულია სულის სიმშვიდე
გადამლეკავი გრძნობების გამო.

შორი ზღაპარი ცხადის ტოლია,
სიცოცხლის ყველა ხიბლი აქ არი.
თითქოს ციდან მზეს ჩამოჰყოლია
ლამაზმანების ნაზი ლაშქარი.

ფაფარაყრილი ტალღის ნანაზე,
გარინდულია ედემი მყუდრო,
სულზე ტკბილია ეს სილამაზე,
მაგრამ წვალება ტკბილია უფრო.

ვერ იტევს სივრცე, ვერ იტევს ზეცა,
ფათქუნა ფრთებით შეკრულ ირაოს.
მე მინდა ახლა შავი ზღვა შევსვა,
რომ დაჭრილ გულზე გადამიაროს.

სხვანაირია აქ დედამიწა,
ცეცხლს ეჭიდება გული მყინვარი.
სულში ესაა განცდა დაიწვა
და ცხელი ლექსის დგას ოხშივარი.

## 80 კუბო

ბუ-რუსეთიდან
მოგორავენ დღეები მრეში,
რქებდამტვრეული,
მეცხრე კართან, ბღავის წიქარა.
ქართულმა გონმა, გაფანტულმა
მსოფლიოს ტყეში,
ქართულ ბოსტანში მაკიდოდაც ვერ გაიხარა.

აღზევებული ზეიმია ფსკერზე დასულთა,
იცინის ეშმას მოწყალება, მირონუცხები.
აღარ დამთავრდა,
მასხარობა, აღარ დასრულდა,
მშობელის ძარცვით
ველარ ძღება შვილი უძღები.

პლანეტებიდან სხვა ხალხების ისმის არია,
ქართველი ისევ
ორღობეში მიდენის ვირებს.
მეძავია თუ...
ჩარჩია თუ...
ნაბიჭვარია...
სამშობლოს ზურგზე წამომჯდარი,
ერს აშაყირებს.

პოლიტიკოსებს
დაუჩოჩდათ თავში კრამიტი,
მათზე შემყურემ,
ზღვა ნერვისა, როდემდე ვგუბო...
საქართველოში დაყიალობს კოვიდ-19
და დასამარხად დღეში გააქვთ 80 კუბო.

***

შენ – უფლის ჩიტო,
ჰაერივით მოსულო, ციდან,
ვით დავიჯერო,
ყოველივე ცხადი თუ არი...
მე შენი შორი მოლოდინის სიამე მზრდიდა,
სიყვარულივით
მარადი და გაუხუნარი.

გაეხსნა კარი მარტოობას,
ლოდად ჩაწოლილს,
მარადისობა დაიმკვიდრეს ლურჯმა ფერებმა.
ფარული ცრემლით დამძიმებულ წლებს
გადაწონის,
შენი სინაზით
მოტანილი ბედნიერება.

დღესასწაულობს სასოება,
დღეების დასით,
ყოველი წამი მოზეიმე თვალის ჩინია.
ამ ალტაცებით,
ამ სინაზით,
ამ სილამაზით,
რაღაც უსაზღვროდ მიხარია და მეშინია.

ჩემი სიცოცხლის
და სიკვდილის შენა ხარ გინცი,
მე და შენ, ერთ დღეს,
ბოლო ლექსში მოვკვდებით, ვიცი.

## პოემის თავფურცელი

და ადამს ისევ ის აბადია:
ცოტა კეთილი და ბევრი – ცუდი.
ორი ათასი წელიწადია,
უბოროტებო სამყაროს ვუცდი.

ასტრალებს მოაქვთ მღვრიე აურა,
ზეცაში ყველა მლილი აცოცდა.
რა უსაშველოდ, რა უცნაურად,
რა უიმედოდ გაგრძელდა მოცდა.

თერმობირთვული მოგორავს ვაშლი
და ხვალიეთის მზეზე ირწევა, –
ადამის ნაცვლად – ადამის ასლი,
ევას მაგიერ – უსქესო ევა.

მორალი გაცვდა და გადაფასდა,
ფიქრს ისევ ცა აქვს დასაბამბავი.
გამომიძახე, ღმერთო, დაფასთან,
უნდა მოგიყვე მიწის ამბავი...

## ვიდრე

მტკვარს ჭრელ-ჭრელი ტანს ასხია ჭავლი,
მე – უმზეო, მზის სხივისკენ ვილტვი.
აბასთუმანს, ტაშისკარის გავლით,
მიმაქვს ჩემი ჭლექიანი ფილტვი.

ცივა მიწას, ცის ცრემლებით ნაცვარს,
მახრჩობს ცხელი ოხშივარი ოფლის.
ჩემისთანა ამ დალოცვილ ნაძვნარს,
იმდენი ჰყავს...თავსაყრელად ჰყოფნის.

არ წავიდე იმედისკენ... რა ვქნა...
სიყვარულით ჭირი დავიმკვიდრე.
ვიდრე ჩემთვის დადგებოდეს წარღვნა,
აღსასრული მოვიდოდეს ვიდრე,

ვეძებ ჰაერს... როგორც ზორბა ლეკი,
რძისფერ ნისლში მიმოფანტულ ნახირს.
ახლა ისე გაიაფდა ჭლექი,
კაცმა რომ თქვას...ხსენებადაც არ ღირს.

## პლატონი და პოეტი

ჰეი, პლატონო,
ყველა დროის ბრძენო, ბიძია,
შენი აზრები უვადოა, მარად მწიფონდა,
ყველა-ყველა და,
ერთი რამე ვერ გამიგია,
რად გამაძევე იდეალურ სახელმწიფოდან?

ვიცი, ძალიან გაგარისხებს ახლა მხილება,
იდეალურის
ოცნებაში მე ვარ მპოვნელი.
ვით შეიძლება, ზღვრული იყოს სრულყოფილება,
ვით შეიძლება,
სრული იყოს მიწიონელი?.

შენს აქეთ
ბევრი გამზეურდა ზრახვა მალული,
დევნამ და გვემამ პოეტს ფრთები
ვერ გაუღუნა.
ერთი მე მკითხე,
ეს ქვეყანა იდეალური,
ცოდვის ტყეა და წამლეკავი ბოღმის ხუხულა.

ადამის ჯიში
შენს ნადიმზე ღრეობს და ლხინობს,
ლექსებს კი არა,
კრეფს ჩემეულ ლექსის ნარჩენებს.
იმ სახელმწიფოს, როგორიც გსურს,
(კი არ გეწყინოს),
ამ სამყაროში შენ უჩემოდ ვერ ააშენებ.

შემეხვეწები, მობრუნდიო პოეტ-ბატონო,
მაგრამ რაღა დროს, გვიანაა უკვე პლატონო!

## რევანში

ქარები ჩადგნენ, გადიღო წვიმამ,
მიეცათ სახე უსახო რუკებს,
რაც იყო გუშინ, რაც იყო წინათ,
დღეს მოგონებებს ჩაბარდა უკვე.

ბევრი ლამაზი სურვილი გაქრა
და ცაზე შორი დარჩა ოცნება,
ზოგჯერ გულს ხსოვნაც არ უნდა,
მაგრამ, მაინც მირაჟით შეიმოსება.

მზე ჩამავალი მკრთალ სხივებს მაქსოვს,
დუმილი დამღლელ ფერს ედარება,
უბედურება გულს უფრო ახსოვს,
ვიდრე ბედნიერ დღეთ ნეტარება.

ხელებში თეთრი ჩამეფშვნა ცარცი,
დუმს მოლოდინი ცარიელ დაფად,
ეს გაჩუმება არ არის მარცხი,
არც დაზავებას არ ნიშნავს ნაღდად.

ეკლის გვირგვინით დადის გენია
და ნისლი, ნისლი სევდის გამჩენი,
ცხოვრება ვისთვის არაფერია,
ვისთვის კუნძული აღმოსაჩენი.

იმედს გარდაცვლილ მზეზე ნაძინებს
რწმენათა დირე ესადაგება,
მე გაქაჯება უფრო მაშინებს,
ვიდრე ქაჯებთან ომის წაგება.

ხმამაღლა ვიწყებ ახალ რეკვიემს
და პირველყოფილ მშვენებით ვთვრები,
დღემდე ერთმანეთს ვერ შევეჩვიეთ
მე და სიჩუმე – მოსისხლე მტრები.

ფიქრები ჰგვანან ყელთეთრა გედებს,
განათდა სული ღამის თევაში
და მორჩა უკვე, სიჩუმის შემდეგ
ხვალ დაიწყება ჩემი რევანში.

## სიცოცხლისათვის

ახლა, როდესაც ვარდების თოვლი,
ასე ლამაზად ფრიალებს სულში,
მე ატეხილი ჭალების მოვლით
მერმისში მიმაქვს სიცოცხლის ნუში.

თხმელიწყაროზე ირემი ბღავის,
ლერწამს ბულბული უზის ღეროში,
გზას სიარული ვერ დალევს მაინც
ხელისდადება საქართველოში.

გულმა ოცნება ოცნებას შერთო
და იშვა ასე სიმღერა გრძელი.
მე მინდა დიდი ცეცხლივით ვენთო,
რომ ყველამ ჩემზე გაითბოს ხელი.

გადარეულან ფერები ფერში,
მზეს მიჰყავს ცაზე სხივთა ამალა,
ამ ფრთაფარფატა ღიმილის ჩქერში
სირცხვილით უნდა ცრემლებს დამალვა.

მიდის და მიდის გზა უსასრულო,
ხოხბებს ვესროლე ლექსი მყივარი,
რა გატირებდა აქამდე, სულო,
ეს აღმაფრენა თუ სატკივარი?!

ცისარტყელები ჩანან რკალივით,
ცას ჩამოანგრევს გაფრენა ორბის
და ფატაწაკრულ პატარძალივით
თეთრი სიცილით სიცოცხლე მორბის.

## ასეთი ვარ და...რა ვქნა...

არც – მხიარული... არც – წყნარი...
მყოფს მარტოობის იქით,
აბასთუმანის ნაძვნარი,
თავის ქალას მხდის ფიქრით.

მელანქოლია მოფრინდა
და ხანძარს მიმცა – თივა.
ვითომ ჩემი არ მყოფნიდა...
სხვისი ტკივილიც მტკივა.

ლამის... სული ხორცს გავყარო,
ლამის... დარდები ვჭამო...
კვლავ ვეჩხუბები სამყაროს,
ამდენი ცოდვის გამო.

ნაძვები რას გამიგებენ,
თუ რა სიმწარით ვკვდები.
ბუტია ლექსებს მიქებენ,
ტაშისკარელი დები.

ლექსია სულის პროფილი,
მგვანი – ოხერს და უბირს.
რატომ ვარ გულჩათხრობილი,
დებიდან ერთ-ერთს უკვირს.

გულში ცრემლი მდის წურწურით,
გრძნობის სინაზემ ამქნა.
რის მაქნისია წუწუნი...
ასეთი ვარ და...რა ვქნა.

ოღონდაც სული მოვითქვა,
(ამნაირ ყოფას კი ჯობს)...
მინდა ავიღო ორი ქვა
და ჩემს საფეთქლებს... ვგლიჯო.



# ელენე დიდიმამიშვილის მოგონებები გალაქტიონ ტაბიძის შესახებ



2021 წელს სრულიად საქართველომ აღნიშნა გალაქტიონ ტაბიძის დაბადებიდან 130 წლისთავი. გენიოსი პოეტის შესახებ ბევრი რამ ითქვა და დაიწერა. ამჯერად მინდა მკითხველს შევთავაზო ჩვენი თანამემამულის, ცნობილი ლირიკოსი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ქალბატონ ელენე დიდიმამიშვილის მოგონებები.

ელენე დიდიმამიშვილმა ცხოვრების დიდი ნაწილი თბილისში გაატარა. ჯერ სტუდენტობის პერიოდში სწავლობდა, შემდეგ, 1946 წლიდან, მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა დედაქალაქში და იქ დამკვიდრდა. იმთავითვე ჩაერთო ცხოვრების ფერხულში, დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა, რამაც, თავის მხრივ, ლიტერატურულ საზოგადოების დიდ ნაწილთან მოუტანა აქტიური ურთიერთობები და თანამშრომლობა. ყოველივე ეს ვრცლად აისახა მის დღიურებსა და მოგონებებში, რომელთა ერთი ნაწილი, წერილების სახით, გამოქვეყნდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მას თანამშრომლობა მოუხდა იმ დროის ისეთ ცნობილ ადამიანებთან და პოეტებთან, როგორებიც იყვნენ: **იოსებ იმედაშვილი და ნინო ნაკაშიძე, შემდგომ კი გალაქტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, მარიჯანი** და სხვები. სიცოცხლის ბოლო წლებში ძირითადად მოგონებებზე მუშაობდა. მისი მოგონებები, გარკვეულწილად, შეავსებს თითოეული მათგანის ბიოგრაფიას და მკითხველ საზოგადოებას მიაწვდის მდიდარ ინფორმაციას მათი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ...



„გალაქტიონ ტაბიძე – ეს სახელი და გვარი ყველაზე მაღალი თანამდებობაა! ვინ, ან რა წაართმევს ღმერთის მადლით მინიჭებულ ამ ღირსებას... დიდი და პატარა, ყველა განიცდიდა მასთან შეხვედრას...“ ასეთ განსაკუთრებულ შეფასებას აძლევდა ქალბატონი ელენე, დიდიმამიშვილი, მართლაც და ბუმბერაზ პოეტს.

ქალბატონმა ელენემ გალაქტიონ ტაბიძე პირველად სტუდენტობის პერიოდში, 1938 წელს, ნახა მწერალთა სასახლეში. დიდი პოეტის შემოქმედებითი საღამო იყო. მაშინ პირველად მოისმინა პოეტის მიერ წაკითხული ლექსი: „მე და ღამე“. – **„ის კითხულობდა მეტად თავისებურად, ხანდისხან აჩქარებით, მაგრამ დიდი შინაგანი განცდით. ხალხი ბევრი იყო და მე არ მომეცა საშუალება დიდხანს მეყურებინა მისთვის,“**– წერდა იგი. იუბილის დასრულების შემდეგ გალაქტიონის პორტრეტი შეიძინა, რომელიც მის ოთახს დიდხანს ამშვენებდა.

გალაქტიონთან დაახლოებას ხელი შეუწყო საბავშვო გაზეთის რედაქციაში მუშაობამ. ბუმბერაზ პოეტთან პირველი შეხვედრა შედგა 1948 წლის 12 სექტემბერს, როდესაც ქალბატონი ელენე, რედაქტორის დავალებით, მივლინებული იქნა გალაქტიონის შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე. მას დავალებული ჰქონდა პოეტთან პირადად შეხვედრა და მასზე სტატიის მომზადება. – **„როცა გალაქტიონს მოახსენეს, თქვენი ნახვა უნდაო, თვითონ გამომეგება, ხელი ჩამომართვა, გვარი მკითხა. მცირე ნაბიჯით უკან დაიხია, შემომხედა და მითხრა: თქვენი ლექსები წაკითხული მაქვსო... მე გაოცებით შევხედე. ნუთუ ამ ბუმბერაზმა შემოქმედმა ჩემი ლექსებისთვის მოიცალა, გვარიც კი დაიმახსოვრა-მეთქი!. – გავიფიქრე. ათასი მადლობის გრძნობა აღიძრა ჩემში. მან, ალბათ, იგრძნო ეს. მხარზე ხელი მომკიდა, გამოფენის დარბაზში შემიყვანა და ერთ-ერთ გრაფიკულ ნამუშევართან შემაჩერა. ეს იყო მოჩუქურთმებული ქვა, ქვემოთ კი პოეტის ხელით იყო მიწერილი: „აი, ამ ქვასთან გავატარე ბავშვობა ჩემი“....გალაქტიონმა მითხრა, რომ ხშირად ქუთაისის ციხისა და ტაძრის ნანგრევებში ატარებდა დროს, იმ ქვასთან იჯდა და ოცნებობდა, კითხულობდა წიგნებს. მესაუბრებოდა უბრალოდ, შინაურულად. ხალხი ახლა მე მიყურებდა. ალბათ ფიქრობდნენ ვინ არის ეს ბედნიერი, ისე ახლოს რომ იცნობს პოეტსო. ასე ხელჩაკიდებულმა მომატარა მთელი გამოფენა. პოეტის არაჩვეულებრივმა სიფაქიზემ და უბრალოებამ ცოტა გამათამამა. როგორც იყო შევკადრე: ხომ შეიძლება თქვენი შემოქმედების ასეთი ბრწყინვალე გამოფენა ქალაქში მუდმივად არსებობდეს-მეთქი. მან ფიქრიანად შემომხედა და მითხრა: თქვენ კარგი რამ შთამაგონეთო.“**

ქალბატონ ელენეს აოცებდა გალაქტიონის განსაკუთრებული დამოკიდებულება დამწყები პოეტებისადმი, უყურადღებოდ არ ტოვებდა მათ ლექსებს. აღტაცებული იყო იმ თავმდაბლობითა და უბრალოებით, რომელსაც ბუმბერაზი პოეტი ყველას მიმართ იჩენდა. მაღალი კულტურა მას ყველასაგან გამოარჩევდა: **„მის მრავალწახნაგოვან ხასიათს ერთი ძვირფასი სამკაული ამშვენებდა – ეს იყო უაღრესად მაღალი კულტურა. შეხვედრისას სალამს ვერ დაასწრებდი. ხელს ჩამომართმევდა და ყოველთვის მომიკითხავდა. თავმდაბალი იყო, თვით ბავშვებსაც კი „თქვენობით“ მიმართავდა“.**

ქალბატონ ელენეს განცდით და სასიამოვნოდ დაამახსოვრდა 1948 წლის 9 ნოემბერი, როდესაც გალაქტიონისადმი მიძღვნილ საღამოზე მიიწვიეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. **„რედაქციიდან დამირეკეს, – გალაქტიონისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდება და მონაწილეობა შენც უნდა მიიღო. ასეთი დიდი პოეტის საღამოზე, დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა ადვილი არ იყო. ჩემი პირველი საზრუნავი იყო, რა წამეკითხა... გალაქტიონმა ყველას სიყვარულით ჩამოგვართვა ხელი და სულ რამდენიმე საათის წინ დაწერილი ლექსი „ახალგაზრდებს“ წაგვიკითხა. როცა ამ ლექსს ვკითხულობ, გული სიხარულით მევსება, რადგან ამ ლექსის დაწერის მიზეზი იმ საღამოს მონაწილე ახალგაზრდები ვიყავით“.**



როგორც ცნობილია, გალაქტიონს განსაკუთრებულად სჩვეოდა მადლიერების გამოხატვა მათ მიმართ, ვინც სულ მცირე ყურადღებას აგრძნობინებდა. სწორედ მის ამ თვისებას ასაბუთებს ქალბატონ ელენეს ერთ-ერთი მოგონება. მან საბავშვო გაზეთში დაბეჭდა პატარა ლექსი, სადაც ასეთი სტრიქონიც იყო: **„მერე კი ვკითხულობთ ტაბიძეს“**. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია გალაქტიონს. მასთან შეხვედრა მოინდომა. როდესაც ქალბატონი ელენე მის ბინაში მივიდა, დიდმა პოეტმა ცოცხალი იები და თავისი წიგნი უსახსოვრა მადლიერების ნიშნად, რაც მისთვის განსაკუთრებული საჩუქარი იყო, რადგან ბუმბერაზ პოეტთან უდიდეს სულიერ სიახლოვეს გრძნობდა ბავშვობიდანვე: **„სიყრმიდანვე ვაღმერთებდი გალაქტიონის პოეზიას. საოცრად მიყვარს გალაქტიონი – თითქოს ჩემი სათქმელი მომასწროო – ასე ღრმად განვიცდიდი მის ყოველ ლექსს. მისი ყოველი ლექსი ავსებს ჩემს არსებას. და ყოველი კითხვისას ახალსა და ახალს ვგრძნობ...“**

ელენე დიდიმამიშვილი გალაქტიონის თანამედროვე იყო და ხშირად უწევდა მისი ნახვა, ამ ურთიერთობამ კი ახლოს გაცნობის შესაძლებლობა მისცა. ამიტომ, მის მემატიანედაც შეიძლება მივიჩნიოთ. **„გალაქტიონი ბევრს კითხულობდა, მაგრამ ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. კრებებზე, საღამოებზე, მუდამ სიტყვაძვირი იყო. ყოველ ლექსს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ყოველი ახალი ლექსის დაბეჭდვას მთელი არსებით განიცდიდა, ახალ გაზეთს უდარაჯებდა.“**

მხატვარმა ალექსანდრე ბანძელაძემ, რომელიც ჟურნალ „დროშაში“ მუშაობდა, მოინდომა დიდი პოეტის დახატვა. ქალბატონი ელენე თვითონ გახდა მომსწრე გალაქტიონის ერთ-ერთი მხატვრული ტილოს შექმნისა. ისინი ერთმანეთს გამომცემლობაში შეხვდნენ. გალაქტიონი გაესაუბრა, დაძაბული ჩანდა: ვნახოთ, როგორი გამოვალო და დაჯდა სკამზე... მაგრამ მისი ხატვა თვენახევარი გაგრძელდა. მხატვარი როცა ფუნჯს აიღებდა, გალაქტიონი ახალ პოზას ირჩევდა... ბოლოს გადაწყვიტეს: პოეტი ფეხზე მდგარი დაეხატათ. მშვენიერი ფერწერული ტილო შეიქმნა, აქ ყოველი შტრიხი ზედმიწევნით გალაქტიონისეული იყო, თითქოს მისი მოძრაობა და სუნთქვაც გვესმოდა.

ელენე დიდიმამიშვილის მოგონებებში ასევე იკითხება ორი დიდი გენიოსის: გალაქტიონისა და ლადო გუდიაშვილის ურთიერთობის ერთ-ერთი საინტერესო შემთხვევა. დიდ მხატვარს დიდი მგოსნის დახატვა გადაუწყვეტია. როცა მას გალაქტიონის კონტურები მოუხატავს გალაქტიონს რაღაც უთქვამს და ტილო გაფუჭებულა. მეორე ტილოზე დაუწყია მუშაობა, გალაქტიონს წყნარად რაღაც შეკითხვა დაუსვამს და კვლავ გაფუჭებულა ტილო. ასეთნაირად რამდენიმე ტილო დაუზიანებიათ. ორივე დაღლილა. გალაქტიონს მასპინძელი დაუტოვებია იმ პირობით, რომ მუშაობას რამდენიმე დღეში გააგრძელებდნენ. მართლაც გალაქტიონი დიდი ბარგით მისულა მასთან. გუდიაშვილს სახლში შეუპატიჟებია, მაგრამ გალაქტიონს არ მიუღია მიწვევა, ღიმილით უთქვამს: **„აი, ჩემო მეგობარო, უამრავი ტილო მოგიტანე, და მე კი უნდა გამანთავისუფლოთო და პირზე კოცნით გამოსთხოვებია“.**

გალაქტიონი ყურადღებით ადევნებდა თვალს ქალბატონ ელენეს შემოქმედებას. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ერთ-ერთი შეხვედრის დროს ზეპირად უთხრა მისი ლექსის ერთი სტროფი. **„მინდოდა იმ წუთებში მუხლი მომეყარა მის წინ და ისე მეთქვა მადლობა ასეთი დიდი ყურადღებისათვის. ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდი, რომ გალაქტიონმა მოიცალა ჩემი პატარა წიგნისათვის. უფრო მეტიც: მან ზეპირად დაიხსომა ლექსი. გავბედე და ვუთხარი, რომ ის უსაზღვროდ გულისხმიერია და სხვა, – მაგრამ ზღვა გულისთქმას რა გამოლევდა!“**

ელენე დიდიმამიშვილის ჩანაწერებში ბევრი საინტერესო ინფორმაციაა დაცული გალაქტიონის შესახებ. ის ხომ, როგორც ვთქვით, მისი თანამედროვე იყო და საკუთარი თვალით ხედავდა მას. გული სტკიოდა, რომ ბუმბერაზ პოეტს იმდროინდელი მთავრობა არა თუ აფასებდა, პირიქით, ამცირებდა და ნერვებს უშლიდა კიდეც, ჰყავდა მოშურნენიც თვით მწერალთა კავშირში. ქალბატონ ელენეს გადმოცემით, გალაქტიონი განსაკუთრებით უყვარდათ და აფასებდნენ ლადო ასათიანი და მირზა გელოვანი. „ჩემდა სამწუხაროდ, ვერც ლადო ასათიანს და ვერც მირზა გელოვანს ვერ მოვუსწარი... ორივეს ძლიერ ჰყვარებიათ დიდი გალაქტიონი, რომელსაც ბავშვივით სათუთი გული ჰქონდა... ჭეშმარიტი პოეტები – ლადო და მირზა ეფერებოდნენ გალაქტიონს. ხელზე ჰკოცნიდნენ, რადგან იმ ხელით წერდა, მკერდზე ჰკოცნიდნენ, რადგან იმ გულით წერდა. ყველას ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ გალაქტიონი სხვა პოეტების ან ახალგაზრდებისათვის ვერ იცლიდა, პირიქით. ის დეტალურად არჩევდა და არკვევდა ახალგაზრდების ნაწარმოებებს...“

ქალბატონი ელენე თავის მოგონებებში შთამბეჭდავად აღწერს გალაქტიონის გარდაცვალებასა და მის დაკრძალვას: „მისი დაღუპვის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. ეს იყო 1959 წლის მარტი. მწერალთა კავშირის კლუბში გალაქტიონი ესვენა. თითქოს ეძინა, სახის კლასიკური ნაკვთები უცვლელი ჰქონდა. მოდიოდა ზღვა ხალხი. 21 მარტს მწერალთა სახლიდან დაიძრა პროცესია. გაისმა იოსებ გრიშაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა გამოსათხოვარი სიტყვები. მაჩაბლის ქუჩიდან მთაწმინდის მისადგომამდე ზღვა ხალხი იყო. რეპროდუქტორიდან ისმოდა დიდი მგოსნის ლექსთა სტრიქონები მის მიერ წაკითხული. ასევე მისი შედევრები: „მერი“, „ქარი ქრის“, „მთაწმინდის მთვარე: – რომლებსაც ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე და სხვანი კითხულობდნენ. ხალხი ხმამაღლა ქვითინებდა... მწერალმა გერონტი ქიქოძემ ცრემლიანი თვალით მოიხედა უკან და ჩაიჩურჩულა: როგორ ჰყვარებია ხალხს გალაქტიონი... მას კი როგორ ესაჭიროებოდა სითბო...

**ხალხმა მთაწმინდამდე მიაცილა. იქ, ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით დაიდო გალაქტიონმა საუკუნო ბინა. დღე თბილი და მზიანი იყო, მაგრამ მეორე დილას, თითქოს ბუნებამ დაუჯერებელი დაიჯერაო, ზეცამ უხვი ცრემლი დააფრქვია მის საფლავს. აკაკი გაწერელიამ ზუსტად აღნიშნა: როცა სარაჯიშვილს ასაფლავებდნენ, სიმღერას ასაფლავებდნენ. როცა ნატო ვაჩნაძეს – სილამაზეს, ხოლო როცა გალაქტიონს – სიტყვის მუსიკალობას, ჰარმონიას ასაფლავებდნენო... პოეტი მარად და მარად ხალხის გულში განაგრძობს ცხოვრებას. ორჯერ დაბადებულს – ერთი სიკვდილი ვერ კლავს...“**

ქალბატონი ელენე ყოველთვის გრძნობდა გალაქტიონის შინაგან სიდიადეს და მასთან შეხვედრისას ახსენდებოდა მისი ერთი ამოსუნთქვით ნათქვამი:

„წელიწადები წავლიან ძველი,
შეიცვლებიან ქარით – სიონი...
როგორც ერთია ქვეყანა ვრცელი,
ისე ერთია გალაქტიონი“.

და, ბოლოს: გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ქალბატონმა ელენემ კვლავ გააკეთა მრავალი ჩანაწერი და მოგონებანი იმ ადამიანების შესახებ, ვისაც იცნობდა და ვისთანაც თანამშრომლობდა. მათ შორის იყო მისთვის ყველაზე მეტად საყვარელი და საპატივსაცემო პიროვნება გალაქტიონი. რამდენიმე ლექსი უძღვნა მას. **„მე ბედნიერი ვარ, რომ მოვუსწარი დიდ გალაქტიონს. ვიყავი მისი პირადი ნაცნობიც, მასთან მორიდებით მოსაუბრეც და**

გაგრძელება გვ.10 ▶

# გიგა მაისურაძე

## ამბავი როსტომ აბაშიძისა

(გაგრძელება. დასაწყ. N13-2021)

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, ახალქალაქის რაიონში, სოფ, თოკში, ცხოვრობდა ერთი გაუნათლებელი გლეხი, როსტომ აბაშიძე, იგი დანიშნული იყო იმავე რაიონის სოფელ ქილდაში მცხოვრებ ვასილ მაისურაძის ქალზე – თამარაზე. როსტომს გაუჩნდა ამ ქალიდან ოთხი ვაჟი და სამიც ქალიშვილი, მართალია მესხეთი და ჯავახეთი თურქ-ოსმალოს ხელში იყვნენ, მაგრამ თავს ქართველებათ სთვლიდნენ, ღვდლებიც ჰყავდათ, ინათლებოდნენ კიდეც, ჯვარსაც იწერდნენ და ქართულ წესებს ასრულებდნენ. როსტომსაც მოესწრნენ შვილები, დანიშნა ვაჟები, გაათხოვა ქალიშვილები, მოესწრნენ შვილიშვილები და შეიქმნა მრავალშვილიანი ოჯახი. იმ დროს კარგ და ძლიერ ოჯახათ ის ითვლებოდა, რომელიც მრავალშვილიანი იყო. ერთიც, კაცათ ის ითვლებოდა, ვისაც სასტუმრო ოდა ჰქონდა და დღე და ღამეში მეტი სტუმარი მოუვიდოდა, უფასოდ აჭმევდა და გაისტუმრებდა. აი მოიწადინა როსტომ აბაშიძემაც თავი ესახელებინა, რომ შვილები მოესწრნენ, აიშენა კარგი ოდა-დარბაზები, დაამუშავა ბლომათ მინდვრები. ერთი სიტყვით, გაითქვა სახელი, რომ სოფელ თოკშიც ვინმე კარგი გლეხი ცხოვრობსო... მაგრამ ნათქვამია, არავისი სანთელი ბოლომდე არ იწვისო. გავიდა რამდენიმე ათეული წელი, დაბრუნდა ჩარხი უკუღმა, აირია ქვეყანა და აი, იმ დროს, როცა ერეკლე მეფემ კოხტა ბელადი მოკლა 1770 წელს, მაშინ იქაური ხალხიც ეხმარებოდა. როსტომის შვილებმაც შეიძინეს იარაღი – მაშინდელი თათრული თოფები, გრძელლულიანი დამბაჩები და სხვ. ამის შემდეგ დაიწყო უკვე ლეკ-ოსმალთა მიერ რბევა, დაცემა, ცარცვა. გავიდა კიდევ ოციოდე წელიც და ამას მოჰყვა მთლად უბედურება. საქართველოს, თბილისს და თელავსაც, ერთი სიტყვით, მთელ საქართველოს, შემოესია ირანის მბრძანებელი აღა-მაჰმად ხანი, დაამარცხა ერეკლე მეფეც. მაშინ დაკარგა ხმალი ხელიდან ერეკლემ. გაცოფებულმა აღა-მაჰმად ხანმა გასცა ბრძანება, რომ მთელი ქართველები ან გაემაჰმადიანებინათ, ან მუსრი გაევლოთ. სპარსეთსა და ოსმალეთში გაესახლებინათ. რაკი დრო იპოვეს, ერეკლე მეფეზე გაბრაზებულმა თათრებმა, მოადგნენ სოფელ თოკსაც, შეკრიბეს ოჯახის ყველა უფროსი და გამოუცხადეს: ბრძანება ასეთია, ან უნდა გამუსლიმანდეთ, ან არის თქვენი ბოლო. მისცეს რამდენიმე დღის ვადა.

მოვიდა სახლში როსტომი დაღონებული და უთხრა შვილებს: შვილებო, ასეთი ამბავი გამოგვიცხადეს და გვიბრძანეს – ან სიკვდილი ან გამუსლიმანება. მე უკვე, შვილო, სამოც წელზე მეტის ვარ, თქვენ კი ვაჟკაცები ხართ, ეხლა თქვენ უნდა იცხოვროთ და იმსჯელეთ, როგორ გსურთ, ვინც ნებაყოფლობით თათრდება, იმას ბეგობასაც აძლევენ: რას იტყვით? ვაჟები დაფიქრდნენ. სამმა შვილმა: ვასომ, ირაკლიმ და გიორგიმ უარი თქვა თათრობაზე. პატარამ უთხრა: ძმებო, გავთათრდეთ, ვნახოთ რა იქნება, თავები გადავირჩინოთ სიკვდილიდანო. გიორგიმ უთხრა: ჩვენ დავიხოცებით და ვერ გავთათრდებითო. უნდა გავიქცეთ ჩვენი ცოლშვილით, ან მინდორში დაგვხოცავენ, ან თავს უნდა ვუშველოთ, აქ კი ლაჩრულათ მაგათი ხელით ვერ დავიხოცებითო. ვასომ და ერეკლემაც ისეთივე პასუხი მისცეს. გვირჩევნია მინდორში დავიხოცნეთ ვაჟკაცურათ, ვიდრე სახლში ლაჩრულათ თავები დაგვაჭრან, რადგან გავთათრდებითო.

## ამბავი ვასოს, ირაკლის და გიორგის გაპარვისა

სამმა ძმამ დასდეს ფიცი, რომ ისინი გადასულიყვნენ დედის გვარზე, ესე იგი, გამოეცვალათ გვარი, აბაშიძის ნაცვლად დაირქვეს მაისურაძე, იმ მიზნით, რომ მამამისისათვის არ მიეყენებინათ ზარალი, ვითომდა მისი შვილები არ იყვნენ. მეორეთ, იმ მიზნით, რომ იმათ შვილებს და შვილიშვილებს არ შეერთოთ მაისურაძეების ქალი და არც მიეთხოვებინათ მათთვის, აიღეს იარაღი სამივე ძმამ, აიკიდეს თავიანთი საგზალი, გუდა-ნაბდები, გამოიყვანეს თავიანთი ცოლ-შვილი, გამოეთხოვნენ მშობლებს ჩუმათ. ბავშვებს ზოგს შეეძლო სიარული, ზოგს ხელი მოჰკიდეს, ზოგიც ხელში აიყვანეს, ახსენეს ღმერთი, პირჯვარი გამოისახეს და გამოვიდნენ სახლიდან.

ღამე ღრუბლიანი, ბნელი იყო. ხანდოს ზევიდან გამოიარეს, ვარგავს ქვევიდან გაუარეს, ტამალაზე, ასპინძის ზევიდან, ლაშიხევის ზევიდან, ყამზა-ოშორის ქვევიდან, უკვე ინდუსას მიუახლოვდნენ. ორი ძმა წინ მიუძღოდა, ერთი უკან მისდევდა. ცოლ-შვილი შუაში ჩაეყენებინათ და ძალიან ფრთხილად და ჩუმათ მიდიოდნენ, უნდოდათ ორფოლის ზევიდან გაევლოთ, თისელზე, რადგან მაღლა ტყეებში ისევ ნამქერები იყო. ამიტომ მთებსა და ტყეებზე არ შეიძლებოდა სიარული, ისიც ბავშვებით. უცებ უკანა ძმას რაღაც ხმაური მოესმა და შეჩერდა. ყური მიუგდო და ნამდვილად შეიტყო, რომ მათ მდევრები მისდევდნენ. წინ ძმებს შეატყობინა. ისინიც შეჩერდნენ, უკვე ინდუსას მიუახლოვდნენ. ქალებს უთხრეს, არ შეგეშინდეთ, ბავშვები ღელეში მიმალეთ. ხმაური არ ასტეხოთ და არ შეაშინოთ, სამივემ კი თოფები მოიმარჯვეს, უკან გადმოინაცვლეს, უკვე მდევრები ერთი ყანის გაშლაზე იყვნენ მოსულები. ძმები ჩასაფრდნენ, დარწმუნდნენ, რომ იმათ მოსდევდნენ, ცოტა კიდევ ახლოს მოუშვეს და, აბა, ერთად, – უთხრა ვასომ. თითოც კიდევ ერთად და ეყოფათ. დაინახეს, რომ ორი-სამი კაცი ცხენიდან ჩამოცვივდა. წინ ველარავინ გაბედა გადმოსვლა, ისეც ბევრნი არ იყვნენ, სულ ხუთი-ექვსი კაცი იქნებოდა. გაჩნდა ვაის ძახილი და კვნესა. ძმები გამოიქცნენ და ცოლ-შვილთან მივიდნენ. ნახეს, რომ ვასოს და ერეკლეს ცოლ-შვილი იქვე არიან, გიორგისა კი არ ჩანს. გიორგიმ ჰკითხა რძლებს, თქვენ ნუღარ



# მესხთა ცხოვრება

ალამებთ, საჩქაროთ წადით, ნუ დამელოდებით, მე თუ მალე ვიშოვი გზას, მოგეწევით, მე არ მიცადოთ. ალბათ, ზოგი გადარჩა, დაჭრილებს შეუხვევენ. თუ კვდრებია, არ ვიცით, ვაითუ დაგვედევნენ, წადით, თავს უშველეთ. თვითონ დაუყვა, საითაც რძალმა უთხრა და ჩუმი ხმით დაუძახა – ელისაბედ, ელისაბედ!

– აქ ვართ, – მოესმა იქვე ახლოდან. ამასობაში ცოტა დროც გავიდა, სანამ ბარგი აიკიდეს და ბავშვებს ხელი მოკიდეს, გიორგი ისევ დაფიქრდა: ვაითუ მტერს ზედ მივაწყდეო და ცოლ-შვილი გავაწყვეტინოო, იფიქრა და ცოლს უთხრა: მომყევი ელისაბედ, ჩვენ ისე ველარ წავალთო. მოჰკიდა თომას ხელი, ელისაბედმა სიმონი ხელში აიყვანა და ზევით კი არა, ქვევით დაუყვნენ. მიდიან მარტო და ათას რამეს ფიქრობენ, საწყლები ნანობენ, ეს რა მოგვივიდა, მამას არ დავუჯერეთ, რა ვიცით, რა გადაგვხდება ამ ხეტიალში. თან ისევ გულს იმაგრებენ, – რაც გვიწერია, ის იქნებაო. ჩამოიარეს წყალობილის ღელისაკენ, დაისვენებენ, ხან ბუჩქს დაინახავენ, კაცი ჰგონიათ. გიორგი დატოვებს ბავშვებს და ქალს, თოფით წავა წინ. ხედავს, რომ ბუჩქია და ისევ მივა ბავშვებთან, აიღებს ბარგს და ისევ მიდის ნელ-ნელა წინ. რას არ ფიქრობს საწყალი კაცი, ოჰ, რა ძნელი სათქმელია, რა ძნელი მოსაგონია, როდესაც კაცი ოჯახს შორდება, სადაც დაიბადა, გაიზარდა, თამაშობდა, ცელქობდა მშობლებთან, ამხანაგებთან. ახლა რას ხედავს, ტანჯვა-ვაება, სახლ-კარი დატოვა, საყვარელ ძმებს გადაშორდა, რძლებს, ძმისწულებს. ამ ფიქრით მიდის ნელ-ნელა და ჩავიდა მდინარე მტკვრის პირას, პატრაშენის პირდაპირ, რუსთავის ახლოს, იქ დაისვენა და მოაგონდა – ნეტავი ძმებმა რა ქნესო.

ვასო და ერეკლე ისევ შეუდგნენ თავიანთ საქმეს. ერთი მათგანი კიდევ წინ გაუძღვა, მეორე უკან მიჰყვებოდა და ისევ შეუყვნენ ზევით-ზევით, კოდიანის ძირისაკენ და ფიქრობდნენ: ნეტავი მალე იპოვოს გიორგიმ ცოლ-შვილი, ან იმათკენ წამოვა თუ სხვა გზას დაადგება? მიდიან და ფეხები უკან რჩებათ, დიდხანს აგვიანეს, მაგრამ გიორგი ველარ მოეწია, არც თოფი გავარდნილა, არც არაფერი ხმაური გაუგიათ და ხიფათსაც არაფერს გადაჰყრიან, ალბათ, ველარ გაბედა ჩვენი გზით სიარული და უსათუოდ სხვა გზას დაადგა, თორემ აქამდის უნდა მოგვწეოდა ის კაციო. იმათაც დაენანათ ძმის გადაშორება, მაგრამ რას იზამდნენ. დაადგნენ თავიანთ გზას და გასწიეს წინ. გადმოცემით ასე გაგვიგონია, რომ ვასო ქვაბისხევში დამალულა, იქაური მაისურაძეები მისი ჩამომავალნი არიანო, ერეკლე კი ქართლში წასულა და სწორი ამბავი არ იცის არავინ, რომელ სოფელში დასახლდა.

გიორგიმ და ელისაბედმა კარგა ხანს დაისვენეს, ბავშვებს ჩაეძინათ. გიორგიმ უთხრა ცოლს: ქალო, თუ იქითა ნაპირზე არ გაველით, ცუდად არის ჩვენი საქმე, მალე გათენდება, ვაითუ კვალზე მოგვყვნენ ის ურჯულოები და გვიპოვონო. ბავშვებმა ცოტა დაიძინონ, მანამდე წყალზე ფონს მოვნახავო. გიორგი ადგა, თოფი ხელში აიღო, ერთი კეტიც ნახა, პატრაშენის ქვევით, მტკვარი რამდენიმე ტოტად რომ იყოფოდა, გასინჯა და იღბალზე წელზეც არ ამოსწვდა, ისევ გამოვიდა, ბარგი აიკიდა, სიმონაც ხელში აიყვანა, ახსენა ღმერთი და შეტოპა. გავიდა გაღმა, ბარგი დააწყო, ბავშვი ნაბადზე დასვა ცოტა პურიც მოუტეხა და უთხრა: აქ იყავი, ვიდრე დედას და სიმონას გამოვიყვანო. ბიჭმა ხმა არ გაიღო. მამას შეეშინდა, ვაითუ წყალში შემოტოპოს და დავახრჩოო, წელიდან ქამრით ფიჩხზე მიაბა და ისევ გატოპა მტკვარი. სიმონა ხელში აიყვანა, ქალსაც ხელი მოჰკიდა და გამოვიდნენ. მარტი იყო და წყალიც ძალიან ცივი. შესცივდა, მუხლები დაისრისა, შარვალი და საცვალი ჩაიცვა, ცოტა გაიარ-გამოარა და ისევ რაღაცა გაიფიქრა და ელისაბედს უთხრა: აქ ძალიან საეჭვო ალაგია, ვერ დავიძინებთ, ქვევით ტყე მოჩანდა შავათ, – იქით გაიშვირა ხელი: იმ ტყეში სანამ არ ჩავალთ, ვერ დავიძინებთ. ელისაბედი დაღლილი იყო, მაგრამ დასთანხმდა. აიღეს ბარგი, აიყვანეს ბავშვები ხელში, რადგანაც ეძინათ. თომა ხუთი წლისა იყო, სიმონი ორწლინახევრისა. ჩავიდნენ იმ ტყეში, სადაც დღესაც მუსხელები სატივეს ეძახიან, ეს მთა სულ ნაძვი და ფიჭვის ხე იყო. მაშინ არხეინად გაშალეს ნაბდები. შიგაც გაეხვივნენ და დაიძინეს. დაიძინეს, მაგრამ ვაი თქვენს მტერსა და დუშმანს, რაც გიორგის არ დასძინებია, ყაჩაღივით და კურდღელივით თვალები ღია ჰქონდა.

გათენდა, გიორგი მაისურაძე ნაბდიდან ჩუმად გამოძვრა, იქაურობა მიათვალ-მოათვალიერა, წყლის პირას ჩავიდა, აქაც დაჰკვირდა, ნახა ერთი ბილიკი მისდევდა ამ ტყიან გვერდობს, ისევ ამოვიდა ცოლ-



შვილთან. ელისაბედსაც გაღვიძებოდა. ჯავრიან გუნებაზე ქალს მაინც გაუღიმა და უთხრა: დილამშვიდობისა, ქაჯან! – ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, – ნაღვლიანად უთხრა ქალმა. რას იტყვი, მოდი აქაურობასაც მოვცილდეთ, ვნახოთ, ღმერთი რას გვიწყალობებს. შენ იცი, როგორც გინდა ისე მოიქეცი. ეს ქაჯანაი ჰქონდათ სასიყვარულო მეტსახელათ. გიორგის კიდევ გაეღიმა და უთხრა: ქალო, ნუ გეშინია, სანამდის ცოცხალი ვარ, მშიერს და მწყურვალს არ დავხოცამ ცოლ-შვილს, თუ მოვკვდი ან მომკლეს, მერე შენმა ქალობამ იცოდესო. გიორგიმ თუნგი აიტაცა, მტკვართან მიირბინა, წყალი აავსო თვითონ, იქვე, პირი დაიბანა, წყალი ამოიტანა, ელისაბედმა ხელ-პირი დაიბანა. კარგა მოშივდათ კიდეც. ბავშვები გამოაღვიძა, გუდიდან კარაქი და პური ამოიღო, გიორგის ერთი ჭიქა არაყი დაალევინა, გიორგიმ დაილოცა: ღმერთო, ერთო, ცისა და ქვეყნის დამბადებელო, მოგვმართე ხელი და ნუ გასწირამ ჩემს ძმებს, მათ ცოლ-შვილს, შეეწიე ყველა კეთილ ადამიანს, ხალხისათვის კეთილის მსურველს და აქაც ჩემ ცოლ-შვილსაო. დაიწერა პირჯვარი, დაჯდა, პური ჭამეს, კიდევ მადლობა უთხრეს გამჩენ ღმერთს. აიკიდეს თავიანთი ბარგი და დაუყვნენ ამ ბილიკს. ბევრი იარეს თუ ცოტა, ხან კაპნებს მიადგნენ, ხან წყალს და ბოლოს ჩამოვიდნენ ერთ დიდ გამოქვაბულთან, სადაც ძველად საწნახელი ჰქონდათ. იქვე გამოქვაბულის წინ იყო ერთი გექტრის ოდენა ვაკე ალაგი, სადაც უკვე წყლის პირას ძეწნები და ზევით კი ტყე გამხდარიყო. ეტყობოდა, რომ იქაურობაში ვენახი და ახლო-მახლო სოფელი იქნებოდა როდესმე. ეს გამოქვაბული კი ძალიან მოეწონა გიორგის. შიში რომ არ ჰქონოდა, იქ ცხოვრება შეიძლებოდა. ღრმა გამოქვაბული მყუდრო და მიგდებული ალაგი იყო. ამ გამოქვაბულში შევიდნენ, კარგა ხანს დაისვენეს. უკვე სადილის დრო იქნებოდა. ე.ი. დღის ორი ან სამი საათი. გიორგიმ მიათვალიერ-მოათვალიერა, იქვე პატარა მდინარე ჩამოდიოდა, ამას ჰქვია ჯერმი ხევი, ანდა ჭერმის ხევი იმიტომ, რომ წყალი არის ჯერმა, ე.ი. თბილი. იქვე კლდეებში ნახა ჭერმის ხეები, რომლებიც უკვე დაკვირტულიყო გასაშლელად. ეხლა წამკითხველო, როგორც გინდა ჩათვალე, მუსხელები ჯერმის ხევს უძახიან, მხოლოდ ჭერამი ე.ი. ჩვენებურათ, წირანი დღესაც არის იმ კლდიეებში და იმ ხევში. გიორგიმ წყალი კიდევ მოუტანა ბავშვებს, ისადილეს, პური ჭამეს და ქალს უთხრა: მე აქაურობა კარგათ უნდა დავათვალიერო, გული რაღაცას ეძებსო. გიორგიმ ზღაპრული დევივით, გამოქვაბულს ტოტები მიახურა და მარიამს უთხრა: ნუ გეშინია, მე ახლო-მახლო ვიქნები და მალე მოგხედამთო... აიღო თავისი ყაფაღლი თოფი და გაუყვა გზას იქაურობის დასათვალიერებლად. ხევ-ხევ აჰყვა და მიადგა ერთ პატარა ცივ წყაროს, რომელსაც ახლაც კაკლი წყარო ჰქვია. მერე მარჯვნივ შეიხედა, ლამაზი ფერდობი ტყე იყო ზევით. გაიხედა და დაინახა, რომ ორი კომლი ამოდის. ცოტა ხანს უყურა, კომლი არც ემატება და არც აკლდება, ესე იგი, მიხვდა, რომ კომლი მუდმივი უნდა იყოს, თორემ ან მოემატებოდა ან დააკლდებოდა. გიორგიმ ჩამოირბინა ცოლ-შვილთან და უთხრა: ქალო, ზევით რაღაცა იმ ადგილზე კვამლი ადის, იქ უთუოდ ვიღაცა უნდა ცხოვრობდეს, ერთი კიდევ ფთხილათ იყავით, იქნების ვინმე ვნახო და გავიგო, ვნახო, სადა ვართ, რა ამბავია. ნუ შეგეშინდებათ, აქაურობა სულ დავიარე და არსად არაფერი ჩამი-ჩუმი არ ისმის, თუ რამე ხიფათი შემემთხვა, უსათუოდ თოფს გავშლი და მაშინ კი თავს უშველე, მე მალე მოვალ მშვიდობით. ბავშვებს აკოცა, თავზე ხელი გადაუსვა და წავიდა. გზა უკვე დათვალიერებული ჰქონდა, საჩქაროთ აირბინა. ხედავს, ძველი ნასოფლარია და აქ ორი პატარა მიწური ქოხებია და ორივედან კვამლი ამოდის. იფიქრა, მივიდე, კარი დაუკაკუნო, ვინ იცის, როგორი ხალხი ცხოვრობს. მოდი ამ ფაგებში დავიმალები, ალბათ, ვინმე გამოვაო. მივიდა, ქვებში ჩაიმალა, თოფიც ხელში მზათ უჭირავს. ცოტა თუ ბევრი ცდის შემდეგ ერთი ახალგაზრდა ვაჟიკაცი გამოვიდა ქოხიდან, ზანტად გაიზმორა, დაამთქნარა და მერე მოისაქმიანა. ის იყო უკან უნდა შესულიყო, მაისურაძემ შეათვალიერა, თავზე წითლით ჭრელი მანდილი ეხურა თათრულათ, მაგრამ ახალუხი და ტანსაცმელი ქართულს უგავდა. გიორგიმ ჩუმი, ნელი სტვენით ვაჟიკაცი უკან მოახედა, ხელით ანიშნა, აქ მოდიო. ვაჟიკაცი უკან მიბრუნდა, არც შეშინებია და არც არა, უთხრა – რა გინდა, ვინა ხარ, რა საქმე გაქვსო.

– მე არაფერი მინდა, მხოლოდ ერთი რამე მსურს შეგეკითხო.

– რა გნებავთ, მითხარი, გისმენო, – უთხრა ვაჟიკაცმა.

– აქ ვინ ცხოვრობს, თათრები ხართ თუ ქართველები?

– აქ ვინღა არის ქართველი? ეხლა სულ თათრები ვართ.

– როგორ თუ, ვინღა არის ქართველი, მაშ რა იქნენ?

– შენ ვინღა ხარ, – უთხრა ვაჟმა მედგრად.

– მე ჯერჯერობით ქართველი ვარ და გენდობი, რომ გამოგიტყდე და არ მიღალატებ და არ გამთქვამ, მომეცი ძველი ქართული ფიცი. თათრები ხომ არა გყავთ ვინმე ქოხში სუარები, ან ენგიჩრები?

– ნუ გეშინია, არც არავინ გვყავს სუარი და არც ენგიჩარი და არც გიღალატებ. რა გინდა, მითხარი. მხოლოდ ორი კვამლი ვართ აქ, ორი ჩემზე უფროსი ძმა და მეზობელი.

– მე ტყეში ვიმალები და თუ მიმიღებთ, მეც თქვენთან ვიცხოვრებო, – მიუგო მაისურაძემ.

– ნუ გეშინია, შენ ისევ ჩაიმალე, მე გაგიგებ ეხლავე, ისინი უფროსებია, ახლავე გაცოდინებო. რა გქვია სახელი, ვაჟიკაცო?

– მე თეიმურაზი მქვია, შენ?

– მაისურაძე გიორგი ვარ და ასე გეტყვი ლექსივით ძმაო:

გიორგი მქვია სახელად,
მაისურაძე გვარადა,
გამოვქცეულვარ შორიდან,
დავდივარ ტყე და ბარადა,
აქ კომლის დანახვით მოგაგენით,
თუ შემინახავთ ძმურადა.
ცოლშვილიც დამალული მყავს,
მიმიღეთ მეზობლურადა.

აი, მე გამოგიტყდი, რომ ცოლშვილიც დამალული მყავს. ახლა შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, რომ არ გამთქვამ და როგორ მოიქცევიო?

თეიმურაზი ქოხში შევიდა, ძმას მოელაპარაკა, რომ მე ერთი კაცი ვიცი, იმას ჩვენთან სურს

ცხოვრება და შენ რას იტყვიო? – რა ვიცი, ძმაო! მე თანახმა ვარ ჩემ წილად, მაგრამ... დაუძახე ისაკის, უფროსი ისა გვყავსო, – უთხრა გიორგი ოქრომელიძემ. თეიმურაზი გამოვიდა, ჩამალულს უთხრა, ცოტა კიდევ მოიცადე, ისაკას დაუძახა თავის ძმასთან. ისაკმა უთხრა: სად არის, დაუძახე, შემოვიდეს, აქ ვილაპარაკოთ, რა კაციაო? თეიმურაზი გამოვიდა. გიორგი მაისურაძეს დაუძახა, – ქოხში შედი, გეძახიან, მე კი აქ დავათვალიერებ, არავინ მოეთრიოს, თათრებიო. მაისურაძე შევიდა ქოხში, სალამი მისცა, ყველას ხელი ჩამოართვა. უთხრეს – დაბრძანდიო. მაისურაძემ უთხრა თავისი ამბავი, რომ ცოლშვილიც დამალული ჰყავდა. ისიც უთხრა, რომ გაღმიდან იყო გამოსული და იქ იმას მგონი არავინ ეძებდა. მაშინ ისაკმა უთხრა, რომ, ძმაო, წადი, ცოლშვილს მიეშველე, არავინ შეაშინოს, მიგიღებთ, იმ პირობით, რომ ხვალ მე და შენ ახალციხეში წავალთ და მაჰმადიანობაზე ხელს მოაწერ და ჩვენი მეზობელი გახდები. წამოვიდა გიორგი, ჩავიდა მაღაროში, ელისაბედს ნიშანი მისცა სტვენით, რომ მე ვარ და არ შეგეშინდეთო. გიორგიმ ტოტები გადაყარა, ბავშვებს მოეხვია, დაჰკოცნა, ქალს ელაპარაკა ყველაფერი, რაც ნახა, უკვე საღამოს პირიც იყო, აიყვანეს ბავშვები და თავიანთი ბარგი და შეუდგნენ ჯერმის აღმართს. გიორგის და ისაკს თეიმურაზი გამოეგზავნათ, მიეშველეო. თეიმურაზმა ჩაირბინა. მივიდა, ელისაბედს სალამი მისცა, ხელიც ჩამოართვა, ხელიდან ბავშვი და ხაბაკი ჩამოართვა და გამოუძღვა წინ. ამოვიდნენ და თეიმურაზმა თავიანთ ქოხშივე შეიყვანა ბავშვები. ისინიც მიიპატიჟა და ყველანი იქ მივიდნენ. ცოტა ხანს შემდეგ ისაკმაც თავისი ცოლშვილით შეაღო კარი. ელისაბედი ყველას მიესალმა, თავი დაუკრა, მერე ჩამოუარა და ყველას სათითაოდ ხელი ჩამოართვა, მშვიდობა და კარგად ყოფნა უსურვა, ყველანი შეშის მორებზე ჩამოსხდნენ. კაცებმა წამოიწყეს თავთავიანთი თავგადასავალი, ქალები ჩუმად უსმენდნენ, ბავშვები კი ცეცხლთან ცელქობდნენ. კარგა ხანს ასე ისაუბრეს, მერე ყველამ ერთად ივახშმა. კაცებმა ცალკე თითო ჭიქა არაყიც დააყოლეს, ერთიმეორის გაცნობა, კეთილობა და ბედნიერება უსურვეს. ქალებმაც და ბავშვებმაც ერთად ჭამეს პური. ბუხარში ხმელი შეშა გიზგიზებდა და აშუქებდა. საწყლებს არც ლამპა ჰქონდათ და არც ნავთი, კვრითა და არყის შუქზე ცხოვრობდნენ. კარგახანი კიდევ ილაპარაკეს და მერე გადაწყვიტეს, რომ ხვალ ადრიანად წასულიყვნენ ახალციხეში ხელის მოსაწერად ისაკი და გიორგი მაისურაძე.

მერე ისაკი წამოდგა, ღამე მშვიდობისა უსურვა დამრჩენებს და თავის ცოლ-შვილით თავის ქოხში წავიდნენ. დილით ადრიან, გიორგი მაისურაძემ გაიღვიძა თუ არა, ელისაბედიც გააღვიძა, – ცოტა საუზმე ნახეო, – უთხრა. გიორგიმ ისაკს დაუძახა, – შემოდი, ცოტა ვისაუზმოთო. ისაკი შემოვიდა, მეორეებიც აიშალნენ. ელისაბედმა საუზმე გაამზადა. მარიამმა ყველას ხელ-პირი დააბანინა. თეიმურაზს ლამაზი ჩელტი დაეწნა, პატარა მორებზე სუფრასავით დადგა. ელისაბედმა ზედ ტილო გადააფარა და ყველი და პური დაალაგა. ვაჟები მიუსხდნენ სუფრას. ელისაბედმა დოქი მოიტანა, თითო არაყი დაალევინა, დალოცეს კიდევ ერთიმეორე, გზა მშვიდობისა უსურვეს. გიორგი ოქრომელიძემ თეიმურაზიც გააყოლა, ფული მისცა და უთხრა: ფქვილი წამოეღოთ. – ეს რა კარგი მოიგონე, ძმობილო, ჩვენც ხომ გვინდა საკვები. ბიჭებო, იქნებ კიდევ წამოიღოთ რამე, თუ მოახერხეთ. ჰოდა, მოხერხებას ხერხიც უნდა, მოჭრას ცული, გათალოს ან წალდი ან ხელეჩო. აირადარა მოგვაგონებინა შენმა სიტყვამ, – მოახერხეთო, – გაიცინა მაისურაძემ. ელისაბედს ჩუმად უთხრა: თოფი და სატევარი დამალე, არავინ მოეხეტოს, მერე მე ამოვალ და იმათ მე მოუვლიო. ისაკმა გზა იცოდა ქვეშატყეზე, ახსენეს ღმერთი და წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, ჩავიდნენ ახალციხეში, მივიდნენ ფაშასთან. თეიმურაზი კარში უცდიდა. იქ კიდევ სხვებიც იყვნენ ფაშასთან მისული, ხელის მოსაწერად და რიგ-რიგობით შედიოდნენ ჩასაწერად. ფაშას თათრული სალამი მისცეს, სალამ-ალეიქუმ. უთხრეს – ალეი-ქიმსალამ, – მიუგო ფაშამ, აქამდი სად იყავი და სად ცხოვრობდიო, – ან რატომ დააგვიანეო?

– დღეგრძელი იყავ, ფაშავ. მე ზედა მუსხიდან გავიქეცი ცოლ-შვილით, ტყეებში ვიმალებოდი, გუშინ ეს ნაცნობი კაცი დავინახე, ამასთან მივედი და ამბავი ვკითხე. ამან მასწავლა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ვეხვეწე, ცოლ-შვილიც ამასთან მივიყვანე. აგერ, აქაც წამომყვა. ახლა გთხოვ, ამასთანვე, დამასახლო და მომცე მოწმობაც. თარჯიმანმა ყველაფერი აუხსნა ფაშას. ფაშამ მდივანს უთხრა, რომ ჩაეწერა და მოწმობაც მიეცა. მდივანმა ჩაწერა გვარ-სახელი, ცოლი და შვილები. ისაკმა გზაზე გააზეპირებინა, როგორ უნდა ეთქვა: მოიჩოქა გიორგიმ და თქვა ასე: აჰლა-ილაჰა-მაჰმადი რასეილა. ამით მიიღო ვითომდა მაჰმადიანობა. თავი დაუკრა ფაშას, მოწმობები ჩამოართვა და გარეთ გამოვიდნენ. ახლა სხვისი რიგი იყო და სხვა შევიდა. თეიმურაზმა იქ უცადა. წავიდნენ ქალაქში, დაიარეს, რაც უნდოდათ, იყიდეს, ისაკმა მოიკითხა, იქნების ვინმე ნაცნობი ვნახოვო. იმ დროს თეიმურაზმა სვირელი ასლან ჯინჭარაძე იცნო, მიესალმა, ხელი ჩამოართვა, გიორგიმ და ისაკმაც ხელი ჩამოართვეს. ისაკსაც ნანახი ჰყავდა ეს ასლანა – ასლანა კი არა, არსენა არა ხარო, – ჰკითხა ისაკმა. მერე გაუბედეს, რო ისინი დარბეულები იყვნენ და დახმარება გაეწია – ან ცხენი, ან ჯორი ეყიდინებინა, თორემ სამი კვამლი ვართ და ჯერ არც კატა გვყავს და არც ძაღლიო. ზურგით რომელი ვაკეთოთო. ძმობა უნდა გაგვიწიოო. ასლანა კარგი კაციც იყო და კარგადაც ცხოვრობდა სეირში, იქაურები ბევრნი იყვნენ ქალაქში, მოიკითხა და ერთი ახალი გახედნილი კვიცი აყიდინა. თეიმურაზ, წადი ძმაო და შვილო, ფულს მე გადაუხდი, ალბათ, როდესმე გამომადგებიო. თეიმურაზმა ჯერ შეირცხვინა, მერე დიდი მადლობა გადაუხადა და უთხრა, – ჩემზე დარჩეს, თუ კაცი ვარ, ამ სიკეთეს გადაგიხდიო! ხელი ჩამოართვა და დაემშვიდობა, ალვირი მისცა ცხენის პატრონმა, უნაგირს ვერ გაგატანთ, სხვა არა მაქვსო. ყველას დიდი მადლობა გადაუხადა თეიმურაზმა და ისაკმაც და სიხარულით წამოვიდა. და სულ იმას ფიქრობდა, როგორ გადაუხადო ეს სიკეთე ძია ასლანსო. ნაყიდი ფქვილი და პროდუქტი ზოგი თვითონ აიკიდეს, ზოგი ცხენს აჰკიდეს და წამოვიდნენ ზედა გზით, სატალაოზე. გადმოვიდნენ მუსხში. გიორგი ოქრომელიძემ გაიგო ასლანის ამბავი, რამაც ძალიან გაახარა ისიც და ქალებიც. იმ დღეს გიორგი ოქრომელიძეს აერჩია ერთი კარგი ადგილი მაისურაძისათვის, ქვაც ბლომად გადაერჩია საშენად. მაისურაძემ მოუწონა არჩეული ადგილი ქვევიდან მარცხენა მხარეს, მზიგული და მაღლობი ადგილი, ისაკს და თვით ოქრომელიძეს ქვევიდან მარჯვენა მხარეს ჰქონდათ ქოხები. იმ ღამეს კიდევ მოილაპარაკეს ძმურათ, ერთი მეორეს დახმარებოდნენ და ყველას აეშენებინა, როგორსაც შესძლებდნენ საგლეხოთ შესაფერი სობუქი ოდები და ბოსლები. თეიმურაზმა უთხრა, – ჯერ ერთი საერთო ბოსელი გავაკეთოთ, კარში ცხენს მოვაბარინებ ვისმეს, ან ნადირი შესჭამს მარტოს. – თეიმურაზი სწორეს ამბობსო, – თქვეს ვაჟებმა. მაგრამ ჯერ მაინც გიორგის აუშენოთ ერთი პატარა ქოხი, რომ ვერ ვეტევით. მეორე დღეს მაისურაძეს აუშენეს ოთხივემ ქოხი, მაისურაძემაც აადინა კომლი. მუსხში მესამე კომლი აადინა გიორგი როსტომის ძემ და სამივე კომლმა ერთად დაიწყეს ერთიმეორის დახმარებით სახლ-კარის აშენებაც, ყანების დაბარვა, თანდითანობით გაზარდეს მამულიც, შეიძინეს საქონელიც და ცხოვრობდნენ ძმურათ, მერე გაიგეს სხვა სოფლებში რომ მუსხში სამი კომლი ცხოვრობდა, მოემატნენ მელიქიძეები ტოლოშიდან, რომლებსაც დღესაც ტოლოშლიენთ ვეძახით, მოვიდნენ ივანიძეები დადეშიდან, იმათაც დღესაც დადეშლიენთ ეძახიან, მერე ჟუჟუნაძეები მოსულან. პირველ მომსვლელს ლაზარეი რქმევია, ამიტომაც ლაზარიენთ ეძახიან. ინასარიძიები ანდრიაწმინდიდან გამოსულან, იმათი პაპა ოსეთიდან გამოქცეულა. როგორც გადმოგვცეს, იმასაც, თურმე, ოქროპირიძესავით, ბატონი მოუკლია. გამოქცეული ანდრიაწმინდას ინასარიძიების ქალზე დანიშნულა და მას ეძახდნენ ოსოს და შემდეგ მის ჩამომავალს დარჩა ოსვიენი და მუსხში ინასარიძიებს დღესაც ოსვიენთ ეძახიან, მერე ერთი ქურთი ვინმე, გადმოცემით, იმასაც ქართველი ქალი მოუტაცნია, ქალს უთქვამს, – მე თათრებში ვერ ვიცხოვრებო. მოსულა მუსხში და უთქვამს: თქვენთან მსურს ცხოვრებაო. ეს უკვე ძალიან გვიან, რუსები რო შემოსული ყოფილან ახალციხეში, ქალს უთქვამს: თუ გაქართველდები, ცოლობას გიზამ, თუ არა და არ მინდიხარ. უკვე ქართველებს თათრების აღარ ეშინოდათ, ამიტომაც ამ ქურთს, რადგანაც ქართველი ძალზე ჰყვარებია, გაქრისტიანებულა, ჯვარი დაუწერია, გაქართველებულა და ქურდაძეთ დაწერილა ისიც. როგორც ზევით ვწერდი, ის სამი კომლი, რომლებიც პირველათ თითო ქოხი აიშენეს, მხოლოდ ერთი ცხენი თეიმურაზსა ჰყავდა ნაჩუქარი ასლან-არსენისაგან. ამათ ააშენეს ერთი საერთო ბოსელი, მერე იფიქრეს, გაზაფხულია უკვე, აპრილი დაიწყო, თუ ეხლა არაფერი დავთესეთ, ზამთარში მშივრები დავიხოცებითო. დაავალეს თეიმურაზს, რომ თან იქვე, ახლო-მახლო ყოფილიყო, ცხენებისთვისაც ყური ეგდო და იმათ ცოლშვილზეც ყურადღება მიექცია და თან ნელ-ნელა ყანები გაესუფთავებინა ფიჩხი-ჩირგვებისაგან. თვითონ წავიდნენ ფაშასთან სათხოვნელათ, რომ დახმარებოდა რასმეს. სამივე მეზობელი მივიდნენ და ჩოქით სალამი მისცეს და დახმარება სთხოვეს ბატონებისაგან და ბეგებისაგან ქერი და ხორბალი. რისთვის გინდათ, – საჭმელათ თუ სათესლეთ? – უთხრა ფაშამ. დღეგრძელი იყავ, ფაშავ! არც ერთი გვაქვს და არც მეორე. – სამი კომლი ხართ იქ? – დიახ, ფაშა-სალილხუნ.– უპასუხა ისაკმა გულზე ხელის დადებით და თავის დაკვრით. რამდენი სული ხართ, სუყველა? – თერთმეტიო! – უპასუხეს. მაშინ ფაშამ უბრძანა მდივანს, გამოეწერა თითო ფუთი საჭმელათ და კვამლზე ხუთ-ხუთი ფუთი ქერ-დიკა. ჯერჯერობით გეყოფათ, მხოლოთ უსათუვოთ უნდა დათესოთ, თორემ ამოვალთ, შეგამოწმებთ და მერე მე ვიციო! – უთხრა ფაშამ. სამივე ჩოქზე მოვიდნენ, თავი დაუკრეს, მიწაზე ემთხვივნენ, ჩამოართვეს ქაღალდი და გამოვიდნენ. იკითხეს წითელი ამბარი, მივიდნენ, გაიგეს ამბარზე, ახალი მაჰმადიანი ბეგი იყო, ფაზლიაღას ეძახდნენ. ამან უთხრა: სამ დღეში უნდა გაიტანოთ, ეს არის სესხი. ხუთ ფუთზე წლის ბოლოს ექვს ფუთს მოიტანთ, თუ ერთი წელი გადააცილეთ, შვიდი ფუთი გახდება. ხუთზე ექვს ვიღებთ, გაიგეთ? – კარგიო, – უპასუხეს. ქაღალდი ჯერ თქვენ გქონდეთ, პურს რომ გაიტანთ, მაშინ ჩამაბარეთო, – უთხრა მეამბრე ფაზლი-აღამ. კაცები წამოვიდნენ, ტომრების საშოვნელათ და ხარების საყიდლათ. იფიქრეს, ვისთან მისულიყვნენ, რომ ეს საქმე მოეგვარებინათ და გადაწყვიტეს ისევ ასლანთან ასულიყვნენ სვირში. მაშინ ურმები არ იყო, არც ტაჭკა და არც ფურღუნი, გინდაც ყოფილიყო, ვინ წაჰყვებოდა უგზო-უკვლო სოფელში, მერეც მუსხში? იქიდანვე წამოვიდნენ სვირში, გიორგი ოქრომელიძემ იცოდა სახლი, მივიდნენ ასლანთან. ბოდიშით სთხოვეს დახმარება, როგორც ნაცნობს. ასლანამ შეიპატიჟა სახლში, პური აჭამა, ამბავი მაშინვე გაიგო, რისთვისაც მოვიდნენ. ასლანამ უთხრა: ბიჭებო, ცოტა დაისვენეთ, მე ერთი სოფელში გავიკითხავ, ვისა ჰყავს გასაყიდი ხარები და ეხლავე მოვალო. მითხარით, როგორი ხარები გინდათო? საშუალო, ისეთი, რომ ავკიდოთ და კავშიც გამოგვადგეს.

ასანაი სოფელში გავლენიანი კაცი იყო და ყოჩაღიც... ორი წყვილი ხარი იქვე უყიდა, ხუთ-ხუთი ოქროთი და მორეკეს ასლანთან. ჯერ კიდევ ადრე იყო. – ბიჭებო, ერთი წყვილი ხარიც ბოგას ვიცი, ამათ ჯობიან, ერთ-ერთი წამომყევით, უთუოდ იმასაც წავართმევთ ამ ფასში. ისაკი და მაისურაძე წაჰყვნენ, ის ხარებიც ხუთ-ხუთ ოქროთ იყიდეს. ე.ი. ხუთ-ხუთ თუმნად. უკვე დაღამდა. გადაწყვიტეს, ხვალ ჩავიაროთ, ხორბალიც გამოვიტანოთ და თან წავიღოთო.

– ბიჭებო, რამდენი ფუთი ხორბალი მოგცათ ფაშამ? – ჰკითხა ასლანამ.

ხუთი სათესლედ, სულზე თითო ფუთიც საჭმელათ. – კარგია, ბიჭებო, თქვენი ხარები არხეინად აიკიდებენ მაგ საპანეს, თუ გინდათ ზედაც შეჯექით, – გაიცინა ასლანამ, ახლა ჯვლები და საბელები გინდათ. ამ დღეგრძელ კაცმა ტომრებიც უშოვნა იმ ღამესვე გაუმზადა სუყველაფერი, ასვა-აჭამა და მეორე დღეს თვითონაც ჩაჰყვა ახალციხეში, მოეხმარა, ხორბალიც ააღებინა და ისე გაგზავნა სახლებში, ამათაც დიდი მადლობა გადაუხადეს. გამოირეკეს დატვირთული ხარები და მოიტანეს სარჩო. რომ არ გავაგრძელოთ, კარგა ხანს ასე ერთიმეორეს ძმურათ მისდევდნენ. ისაკ ჯინჭველაძე ხელოსანი კაცი ყოფილა, სამივესთვის გამართა კავები, მოალაგეს მინდორი, შეჰყვნენ აკვნი სერამდი მარცხნივ ქვევიდან, მერე მარჯვნივ ნაფუზრებში იმედიანად მოხნეს, მოთესეს. ვალები გადაუხადეს. ასლანასთან ყოველწელიწად მიდიოდნენ და ისიც მოდიოდა ხშირათ. თეიმურაზმა ნაჩუქარი ცხენი კარგათ გამოხედნა და ძალიან კარგი რამეც გახდა. ერთხელ ფაშა მართლაც ამოვიდა, იქაურობა დაათვალიერა, ნამუშევარი და ნათესები მოუწონა, თეიმურაზიც ძალიან მოეწონა და უთხრა: მაგ ცხენით ერთად ჩამოხვალ, ჩემთან გამოცხადდებიო. თათრული ისაკამ გადაუთარგმნა. თეიმურაზს შიეშინდა. ალბათ, ცხენი უნდა წამართვასო და ისაკს უთხრა: რა უნდა, ნეტავ რას ვერჩიო. ფაშამ შეატყო, რომ მას შიეშინდა და უთხრა: ნუ ეშინია, უთხარი, სამსახურში უნდა დავაყენო, მომეწონა, კარგი ვაჟკაცი ჩანსო. ისაკმა გადაუთარგმნა თეიმურაზს: თათრული არ ვიცი, რა სამსახური უნდა გაუწიოო, ისიც გადაუთარგმნა სრულათ. ე.ი. მილიციათ, სტრაჟნიკათ. თათრულს მალე ვასწავლით და გავამდიდრებთ, კაცი გახდება და თქვენც ველარავინ შეგაწუხებთო. სუყველანი დაფიქრდნენ. სუყველამ მოუწადინეს, წადი, ძმაო, ახალგაზრდა ხარ, ეცადე შენც ისარგებლე და ჩვენზეც თვალი დაიჭირე. ფაშამ უთხრა: რა იფიქრაო? მადლობას გიხდის, ფაშა, მხოლოდ ამას ნანობს, რომ თათრული არ ვიციო. მაგაზე ნუ იფიქრებს, ერთ წელიწადში ჩემზე კარგი თათრული ეცოდინება მაგასო. – თქვა ფაშამ. მაშ ხვალვე ჩამოვიდეს ჩემთანო. და ცხენი გააბრუნა წასასვლელათ. იპატიჟეს კაცებმა, მაგრამ აღარ მოუხედია უკან, ორი სუარიც ჰყავდა გვერდით ფაშას. იმათაც გაიგეს თეიმურაზის ამბავი და ხელს უქნევდნენ, წამოდიო...

იბეჭდება უცვლელად
(გაგრძელება იქნება)

# გიორგი ბრწყინვალის ძეგლი ახალციხეში



„ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა“, – ბრძანებდა დიდი ილია. და, მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, თვალნათლივ დავინახავთ, რა გზა გაიარა ქართველმა ერმა სამიათასწლოვან ისტორიაში და ჩვენს თვალწინ ბრწყინავ მანათობლებად გაიელვებენ ქართველ მეფეთა სახეები, რომლებმაც შექმნეს დიდი ისტორია და იმწამსვე გაქარწყლდება უახლესი თეზა, რომ – ხალხი ქმნის ისტორიას.

მადლიერმა ქართველმა ერმა მეფეთა ერთ ნაწილს ის კუთვნილი ადგილი მიუჩინა, რასაც ისინი იმსახურებენ. ერმა სიყვარულით მეფე დავითს „აღმაშენებელი“ უწოდა, ალექსანდრეს – „დიდი“, ერეკლეს – „პატარა კახი“, ხოლო მეფე **გიორგი მეხუთეს** – გამორჩეული სახელი – **„ბრწყინვალე“** უწოდა.

როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ყველაზე ძნელბედობის ხანაში მოუწია მეფობა გიორგი ბრწყინვალეს, მაშინ, როდესაც დანგრეულ-გაპარტახებულ ქვეყანაში მონღოლთა მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა ერი. სწორედ მის სიმამაცესა და გენიალობაზე იყო დამოკიდებული მტრის ბატონობისაგან ქვეყნის ხსნა და ურჩი თავადების ალაგმვა, რომლებიც ანგრევდნენ და ანადგურებდნენ ქვეყნის მომავალს. სწორედ მისი გამჭრიახი, მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად ქართველმა ერმა მონღოლთა მძიმე უღელი მოიშორა და ურჩ თავადაზნაურობას თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა და გვიჩვენა – მცირერიცხოვანი ერის მკაცრი ხელით გაერთიანების უდიდესი ეროვნული საქმის კეთების მაგალითი.

გიორგი ბრწყინვალის სახელი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული მესხეთთან, სადაც **დედულეთში** – სახელოვანი ათაბაგის – **ბექა ჯაყელის** დიდმა ოჯახმა აღზარდა და მხსნელად და იმედად მოუვლინა ქვეყანას.

სწორედ ამიტომ, ისევ მესხებს ხვდათ წილად – ეზრუნათ ბრწყინვალე მეფისთვის ხელთუქმნელი ძეგლის აგება.

ჯაყელთა გვარის ღირსეული შთამომავლის – **ომარ ჯაყელის** ინიციატივითა და დიდი ძალისხმევით, სამხარეო ადმინისტრაციისა და მერიის აქტიური მხარდაჭერით, მიღწეული იქნა ახალციხეში დადგმულიყო გიორგი ბრწყინვალის ძეგლი, რომელიც პოტსდამენტიანად შვიდი მეტრის სიმაღლისაა.

ძეგლის გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა გასული წლის მიწურულს – 24 დეკემბერს, სადაც მოწვეულები იყვნენ როგორც რეგიონის თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლები, პარლამენტში ასპინძის, ადიგენის, ახალციხისა და ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი **ანტონ ობოლაშვილი,** ასევე სტუმრები დედაქალაქიდან.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორი **ბესიკ ამირანაშვილი**, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტი **თეოდორე (ჭუაძე),** ახალციხის მერი **ირაკლი ლაზარაშვილი,** საქართველოს სკულპტორთა და არქიტექტორთა საზოგადოების თავმჯდომარე **ლევან სალუქვაძე,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი **მერაბ ბერიძე.**

ძეგლის ავტორია მოქანდაკე **კახა არუნაშვილი.** ღონისძიებას უძღვებოდა მერიის თანამშრომელი **მარინე ჯინჭველაძე.**

ღონისძიების დასასრულს სტუმრებმა ცოცხალი ყვავილებით შეამკეს გიორგი ბრწყინვალის ძეგლი.

*საკ. ინფორმაცია*

გამოხმაურება

# ზოგი რამ სოფელ სხვილისის შესახებ

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ 2021 წლის აგვისტოს ნომერში (N7, 271) დაიბეჭდა ისტორიკოს რეზო ანდღულაძის სტატია: „მივიწყებული ერთი ტოპონიმის შესახებ“, რომელიც ეხება სოფელ სხვილისის ერთ-ერთ ისტორიულ ნაწილს. დიდი მადლობა გაზეთის რედაქციას და ბატონ რ. ანდღულაძეს აღნიშნული მასალის გამო. სტატიამ ჩემში დიდი დაინტერესება გამოიწვია, ვინაიდან მე და ჩემი ოჯახი ვცხოვრობდით სოფელ სხვილისში, მდინარე ბორბალოს სიახლოვეს, საგზაო-საექსპლუატაციო უბნის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთში მდებარე სახლში. ფაქტობრივად, სხვილისელები ვიყავით. ბავშვები ივლიტელებთან ერთად ფეხით დავდიოდით ახალციხის სხვადასხვა სკოლაში. იმ პერიოდში არც გზა იყო მოასფალტებული და არც ავტობუსები დადიოდნენ.

ბორბალოს სარწყავი არხი დღემდეა შემორჩენილი. იგი სათავეს იღებს მდინარეების – ფოცხოვისა და ქვაბლიანის შესართავიდან და მოედინება ძირითადად ახალციხე-აბასთუმნის საავტომობილო გზის გასწვრივ. მდინარე ბორბალოზე მოწყობილი იყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, იქვე – მრავალ დოლაბიანი წისქვილი და, ბოლოს, ჰიდროელექტრო სადგური, რომლისგანაც ელექტროენერგია ერთი პერიოდი მიეწოდებოდა ქალაქ ახალციხესა და აბასთუმანში – ობსერვატორიას და რევოლუციამდე – იქ მყოფ რუსეთის მეფის ოჯახის ახლობლებს. წისქვილი იყო ძირითადი ,,ფაბრიკა - ქარხანა“, რომელიც ემსახურებოდა ახალციხისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობას. ადგილობრივი ხანდაზმული ადამიანები ხშირად იხსენებდნენ, რომ საფქვავით დატვირთული ურმები რიგში იყვნენ ჩამწკრივებელლები. სახერხ ქარხანაში დახერხილი მასალა კი, ვიდრე „ზაჰესის“ ჰიდროელექტროსადგური აშენდებოდა, თბილისს მიეწოდებოდა. აღნიშნული ობიექტები მუშაობდნენ წყლის ენერგიაზე – ტრიალა დოლაბების და ბორბლების გამოყენებით, რისთვისაც არხს დაარქვეს „მდინარე ბორბალო“. არხის წყალი, განსაკუთრებით ზაფხულში, აქტიურად გამოიყენებოდა სასოფლო - სამეურნეო მიწების სარწყავად.

მოსწავლე-ახალგაზრდობაში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა ჩვენი ქვეყნის ისტორია, მათ შორის ახალციხის, რაბათის, ივლიტის და სხვილისის წარსული. ჩვენთვის კარგად იყო ცნობილი ჯაყელების მიერ თამარ ორბელიანის მკვლელობის ისტორია. ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ სხვილისი ჯაყელების საზაფხულო რეზიდენცია იყო და ორი ნაწილისგან შედგებოდა – ზედა და ქვედა სხვილისი. ქვედა სხვილისში ძირითადად ეთნიკური სომეხი გრიგორიანელები ცხოვრობდნენ, ხოლო ზემო სხვილისში, 1944 წლიდან, ქართველი მართლმადიდებლები.

,,იფნის გზა“ : – ეს არის გზა, რომელიც მიემათება ქვედა სხვილისიდან შემოვლითი გზით სოფელ აბისა და პამაჯის შემაერთებლი გზისკენ. დღეს ამ გზამ დაკარგა თავისი დანიშნულება,

„იფნის“ გზა ეფარება მთის მასივს, რის გამოც რაბათიდან არ ჩანს მასზე მოძრაობა. ეს ფაქტი აქტიურად გამოიყენეს 1828 წელს რუსულ-ქართულმა მხედრობამ. თურქებმა, რომლებიც ახალციხის ციხეში იყვნენ გამაგრებულები, ვერ შენიშნეს „იფნის“ გზით რუს-ქართველთა ჯარის გადაადგილება და ახალციხე ალყაში მოაქციეს, ხოლო აჭარის მხრიდან მომავალი თურქების დამხმარე მრავალრიცხოვანი რაზმი კი სოფელ სხვილისის ვაკეებში გაანადგურეს.

მე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დიდხანს ვმუშაობდი „კავგიპროტრანსში [კავკასიის ტრანსპორტის საპროექტო სახელმწიფო ინსტიტუტი]. აღნიშნული ინსტიტუტი, მთელი კავკასიის მასშტაბით, ძირითადად აპროექტებდა საავტომობილო გზებს, რკინიგზის ხაზებს, გვირაბებს, ხიდებს, მეტრომშენებლობას, მაღალი ძაბვის გადამცემ ელექტრო ხაზებს, მდინარეების და ზღვის ნაპირდამცავ და სხვა სახელმწიფოსათვის საჭირო ნაგებობებს, კომუნიკაციებს. შრომითი საქმიანობა დავიწყე ინჟინრის თანამდებობაზე და გავხდი პროექტის მთავარი ინჟინერი,

1970-იან წლებში ჩემ საპროექტო ჯგუფში განაწილებით ინჟინრად მუშაობა დაიწყო ახლად კურსდამთავრებულმა გოგონამ, ნანა ნატრიაშვილმა, რომელიც მაიაკოვსკის (დღევანდელი ბაღდათის) რაიონის სოფელ დიმიდან იყო. მუშაობის პერიოდში ერთმანეთს ძალიან დავუახლოვდით. ერთ მშვენიერ დღეს იგი მეკითხება: „იცი, მე საიდან ვარ?“ ვუპასუხე, – რა თქმა უნდა, ვიცი, – სოფელ დიმიდან. მან გაიღიმა და მითხრა, რომ მე ვცდებოდი. ბოლოს განაგრძო, რომ იგი წარმოშობით სოფელ სხვილისიდან იყო. მისმა ნაამბობმა ჩემში გაკვირვება და დიდი სიხარული გამოიწვია. იგი იმასაც მომიყვა, რომ მისი წინაპრები უწინ გვარად მსხვილიძეები ყოფილან.

თურმე, ახალგაზრდა წყვილს, დიდი ხნის მანძილზე, არ შეძენიათ შვილი და, ბოლოს, რომ შეძენიათ, გვარი „ნანატრი შვილი“ – ნატრიაშვილი მისცეს. აქედან მოდის ჩემი გვარიო. სოფელ დიმში დღესაც ცალ-ცალკე უბნებად ცხოვრობენ მსხვილიძეები, ნატრიაშვილები და მინაძეები. ამ გვარის მატარებელი ადგილობრივი მოსახლეობა 1830-იან წლებში გარიდებია რუსეთ-თურქეთის ომს და საირმისა და აბასთუმნის გავლით მასიურად გადასახლებულა აღნიშნულ სოფელში. მათი საცხოვრებელი ადგილები კი თურქეთიდან, რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ჩამოსახლებულმა სომხებმა დაიკავეს. ერთ დღეს ნანა დავპატიჟე ჩემთან, სხვილისში, მაგრამ ჩვენ ამ შეხვედრას ხელი შეუშალა იმ პერიოდში მოქმედმა საბჭოთა სასაზღვრო კარჩაკეტილობამ.

ცნობილია, რომ სოფელ სხვილისში ცხოვრობდნენ ნატრიანის გვარის მატარებელი რამდენიმე ოჯახი, რომელთა შვილები სწავლობდნენ ქართულ სკოლაში. ისინი არ კარგავდნენ თავიანთ იდენტობას. ფაქტია, სომეხი მოსახლეობა, რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, რამდენიმე ათეული წელი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან, ეს არ ეხებოდა მხოლოდ ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. ნატრიაშვილებს და მსხვილიძეებს, იმისათვის რომ თავი აერიდებინათ, როგორც ვთქვით, ყოველწლიური მძიმე გადასახადებისაგან, გვარები შეიცვალეს და ნატრიანები გახდნენ. ჩემთან, ახალციხის პირველ საშუალო სკოლაში, სწავლობდნენ ამ გვარის მატარებლები, რომლებმაც მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში შეძლეს წინაპართა გვარების დაბრუნება.

აქვე დაინტერესებულ მკითხველს მინდა შევახსენო ისიც, რომ სოფელ სხვილისის სახელი მოდის მსხვილიძეების გვარიდან და მას არავითარი კავშირი არა აქვს – „სუფლისს“ ან ,,სუხლის“-თან, რასაც ხშირად, ადგილობრივი სომეხი მოსახლეობა მოიხსენიებს.

„კავგიპროტრანსში“ მუშაობის პერიოდში ასევე დავუახლოვდი გეოლოგიური განყოფილების წამყვან ახალგაზრდა სპეციალისტს შალვა მინაძეს, რომელიც წარმოშობით, ასევე სოფელ დიმიდან ყოფილა. ერთ მშვენიერ დღეს მას ერთი კითხვა დავუსვი, თუ სად იყო სოფელი მინაძე? მე მისი პასუხით ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა მიპასუხა: – ,,ასეთი სოფელი არ გამიგია და არც არსებობსო“. მე მას დიდხანს ვუხსნიდი, რომ სოფელი მინაძე ახალციხის რაიონში მდებარეობს მტკვრისა და ფოცხოვის მდინარეების შენაკადებთან და რომ, ამ სოფელში, არცერთი ამ გვარის წარმომადგენელი არ ცხოვრობდა.

მესხთა შიდა მიგრაციის თაობაზე საინტერესო ფაქტებს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დაინტერესებულ მკითხველს მომავალშიც შევთავაზებთ.

თენგიზ სუდაძე

# ჯონი დიდიმამიშვილის მოგონებები გალაკტიონ ტაბიძის შესახებ

◀ დასაწყისი გვ. 7

**გულში საოცარ სითბოს ვგრძნობ, სულში – საოცარ ნათელს. 1996 წლის 23 ივნისი, ქალაქი ახალციხე“, – წერდა მხცოვანი პოეტი.**

## ფიქრი გალაქტიონზე

### ის მოდიოდა

ის მოდიოდა გზაზე მარტოკა,
მოჰქონდა მთელი სამყაროს მადლი...
და ვითარც მაღალ ჯვარზე გადობას –
ასე გულდაგულ უმზერდა ხალხი.
და რთულზე რთული ბუნება მისი
ჭვრეტდა უმაღლეს ცათა მწვერვალებს...
განგება ხედავს, განგებამ იცის,
შმაგნი ურჩხულნი გულს ვით
სერავდნენ...
ბრწყინავდა მარად, ბინდით თუ მზისით –
შეუცნობელი დიდება მისი...
ის მოდიოდა გზაზე მარტოკა...

*1994 წლის მარტის 7-ს*
*ქ. ახალციხე*

***

ხედავ, პროსპექტზე ბუმბერაზ პოეტს,
ღიმილით ორივ ხელს გართმევს,
ხალხში საოცარ რიდებას სტოვებს,
თვალი მეტყველებს სათქმელს.

ირგვლივ ფუსფუსი, ხმაური ქუჩის –
სავსეა ფიქრით, სივრცით...
და პოეზია უხვი და ურჩი
მზისებრ იწვის და იღვწის...

*1994 წლის მარტის 7-ს*
*ქ. ახალციხე*

### შეუძლებელი

რა იქნებოდა, ცას მუდამ ებრწყინა
სხივთა უსპეტაკეს ლილვით
ვით უკვდავება, ვით ოქროს წვიმა –
მთებს შემოსგომოდა ღიმილი...
და აღგვილიყო მიწიდან ბოროტი,
ანგელოსს ჰქონდა სადავე...
სულ გაწმენდილი ბოლომდი, –
გვქონდა სიკეთის სავანედ.
ცამდე აღეზიდათ სიყვარული,
ეგრძნოთ უნაზესი რიდი...
ყვავილებს მოეთოვათ სიხარული –
გაედოთ მზის ჩქერთა ხიდი...
ცოდვა დაეთრგუნა ყოველ მლიქვნელს,
ყოველ ურჯულოს შეეგრძნო სიონი
და ბოლოს მაინც ახლოს ყოფილიყვნენ
მერი და გალაქტიონი...

*1994 წლის მარტის 7-ს*
*დედაქალაქი*

P.S. ცნობილი ფაქტია ისიც, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში გალაკტიონ ტაბიძე ესტუმრა სამცხე-ჯავახეთს. საინტერესო მოგონებებთან ერთად, შემოგვრჩა მრავალი ფოტო-სურათი: გალაკტიონი მწყემსებთან ერთად. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ 1955 წელს გაშენდა სოფელ საროს (ასპინძის რაიონი) სკოლის ახალი შენობა, სკოლას გახსნისას სტუმრობდა გალაკტიონ ტაბიძე. მას ახლდა საროს სკოლის კურსდამთავრებული, დიდი მამულიშვილი და გალაქტიონის დიდი მეგობარი ვახტანგ გურგენიძე. სკოლამ პოეტს შეხვედრა მოუწყო. გალაქტიონს ღირსეულად უმასპინძლეს. მან სწორედ მაშინ პირველად დააგემოვნა თუთის არაყი და ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა. პოეტის საპატივსაცემოდ კი სკოლას გალაქტიონ ტაბიძის სახელი მიენიჭა.

ნატო ყრუაშვილი

## ნათია ჯიქურაშვილი

### კახი კავსაძისა და ზელა მირიანაშვილის სიყვარულის საგალობელი



მე დაკარგული წუთისოფლის გზებზე ვაბიჯებ,
სარეცხის თოკზე ჩამოვკიდე სველი ფიქრები,
სადღაც ცისპირეთს მთელი გზნებით, ალბათ, იქუხებს,
გამოღვიძების გაელვებად შენში ვიქნები...

როგორ ტკბილია მონატრების ლანდებთან ცეკვა,
გაორებული მოგონება მსხვერპლად შევწირე,
თუ მომესაჯა უშენობის ძაძის ტარება,
მე ეს სასჯელი, როგორც ჯვარი, ისე მივიღე.

დამტოვე ასე, მოგონების ამარა მდგარი,
შემოძარცვული, ხელის გულზე მფეთქავ წუთებით,
ყველგან შენა ხარ და რა თბილი დამყვება მზერა,
ბევრისმთქმელ სევდას უშენობის ტკივილს ვუყვები.

გარინდებული ცხელ კლავიშებს თითებს ვაწებებ,
ვუკრავ აკორდებს, განშორების დარდით ვივსები,
შენეულ ლამბაქს მრუმე სითხით თვალებს ვუშტერებ
და სად გპოულობ? მხოლოდ ღამით ფერად სიზმრებში.

ზეცა მოწმეა, იქიდანაც როგორ მფარველობ,
შენ არ წასულხარ, ყოფიერში გადაინაცვლე...
დღეები მიდის, კი არ ვცოცხლობ, მგონი, ვარსებობ,
უშენობით ხომ მერამდენედ გარდავიცვალე...

### კონსტანტინე არსაკიძე



ტიტან გენიით მირონცხებულ იყავ, კონსტანტინ,
შენმა მარჯვენამ სვეტიცხოვლის აგებაც შეძლო,
მხოლოდ სიყვარულს ვერ ეპუე დელგმად მოვარდნილს
და სამუდამოდ შენი გულიც ამ გრძნობას ეყმო.

რა დედამ გშობა, რომ გენიის დაღი დაგასვა,
თეძამის ქვაზე ამოჭერი მიჯნურის სახე,
თავთუხისფერი დალალები გულს ვერ დაგაკვდა,
ჰო და, ტკივილი შესაწირად უძღვენი ღამეს.

ზღვისფერ თვალებმა სიმწარეც და სიტკბოც გაგემეს,
არ გსურდა, მაგრამ მაინც ჩაჰკალ გულის ანთება,
მარჯვენა მოგჭრეს იმ ტრფობისთვის და მაინც გწამდა,
თანასწორია სიყვარული, არ სწამს გარჩევა.

მომაკვდავს ღაწვი ვერ დაგილბო დედის ცრემლებმა,
გარდაიცვალე, ცხოვრების ვარდს მოსწყდა ფურცელი,
მაგრამ ზარები სვეტიცხოვლის, დღესაც რომ
გრგვინავს,
დაე, ეს იყოს, არსაკიძევ, შენი ნუგეში!

„ნათელი მითი საუკუნედ გადმონაჟონი,
სვეტიცხოველის ქონგურებზე ცარგვლად ანთია",
ის ერთადერთი ძველებურად უღიმის ტატნობს,
რადგან სხივები ქარვისფერი მძივად ასხია.

# ჭიჯიითი

ერთი ღარიბი კაცი იყო და ჰყავდა ერთი გასათხოვარი გოგო. ამის გოგოს არავინ თხოულობდა. მოვიდა დევი, უთხრა: მამცემ გოგოს თუ არა, შეგჭამო. ამას შეეშინდა და მიათხოვა გოგო. ეს კაცი იყო ძალიან ღარიბი და მივიდა სიძესთან, რომ რამე წაერთვა. რომ მივიდა კარქა პატივი სცეს და დილაზე უთხრა დევის ცოლმა: რა ვაჩუქო მამაჩემსაო. ვირი მიეციო უთხრა.

ეს ვირი რომ წამოიყვანა, ვირი ოქროს გადიოდა გარეთ. როცა მოიყვანა სახში, ოქროს პატრონი გახდა.

ქალმა მოინდომა აბანოში წასვლა. წავიდნენ აბანოში. ვირი დააბეს გარეთ. ვირი რომ ოქროს გასულიყო გარეთ, მეზობელმა ამოიარა ვირით. იმ ვირს გავდა თავისი ვირი. გამოცვალა ვირი და წავიდა. გამოვიდა გარეთ, ნახა ვირი. ვირი თავითი აღარ იყო. იცნეს მეზობელთან ვირი, მაგრამ მეზობელმა არ მისცა. ცოლმა მეორეთ გააგზავნა ქმარი დევთან. იქნება რამე მოგცესო. მივიდა, კიდევ დარჩა ერთ ღამეს. დილაზე დევის ქალმა კიდევ უთხრა: რა ვაჩუქო მამაჩემსო?

– სინი მიეციო. მისცა სინი და წამოვიდა. უთხრა: წყაროსთან რომ მიხვალ, რაც მოითხოვო, ზედ გაჩნდებაო. ადგა, წამოიღო. რომ მოვიდა სახში, რასაც თხოულობდა, იმ სინზე ჩნდებოდა. ესე ქეიფობდა მუდამ. ერთ ბატონს ქეიფი ჰქონდა, გაიგო ამ სინის ამბავი და წაართვა თხოვით და აღარ დაუბრუნა. დარჩნენ კიდევ შირი. ქალმა უთხრა: წადი კიდევ დევთან, ან შეგჭამოს, ან კიდევ რამე მოიტა ვჭამოთო. მივიდა კიდევ. დევმა აჩუქა ხელწისქვილი. წამოიღო ეს წისქვილი სახლში. თითო დატრიალებაზე თითო ფუთი ოქრო გამოდიოდა. ისეთი ხათრიანი იყო ეს კაცი, რომ მეზობელს ეთხვია, ვერ დაუჭერდა. მეზობელმა ითხოვა ეს წისქვილი. დააყარა ხორბალი. გამოვიდა ოქრო. ამან აღარ დაუბრუნა წისქვილი. წავიდა კიდევ დევთან. დევმა უთხრა თავის ცოლს: ერთი ამას აყირო მიეცი იეხლაო. და აყირო რომ მისცა, უთხრა, რომ წაიღებ, „გამოდი აყიროვო“ – უთხარიო. როცა გეყოფა, „შედი აყიროვო“.

რო წამოიღო ეს, გზაზე უთხრა: გამოდი, აყიროვო. გამოვიდა ჯარი ამ აყიროდან, იმდენი სცემეს ეს კაცი, რომ სიკვდილის დღეში შეიყვანა. ამ დაბნედილს ბოლოს მოაგონდა და უთხრა: „შედი აყიროვო“. განთავისუფლდა ამათ ხელიდან. მივიდა სახლში და ცოლი გაუჯავრდა: შე ოხერო, ამტენი აყიროები გვაქვსო, კიდო აყირო მომიტანევიო. კაცმა შეუგდო სახლში აყირო იმ მეზობელთან, რომელმაც ვირი გამოუცვალა. უთხრა: მომეცი ვირიო. რომ არ მისცა, შეუგდო ეს აყირო კარებში და უთხრა: გამოდი აყიროვო. იმდენი აცემინა, რო მეზობელი ეუბნება: ჩემი ქონება სულ შენი იყოსო. მერმე წავიდა. ვინც წისქვილი წაართვა. ამ ცემით წისქვილიც წაართვა. მერმე წავიდა ბატონთან, სინიც წაართვა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ქბილი აქა.

ციდამ სამი ვაშლი ჩამოვარდა. ერთი მთქმელს, ერთი დამწერს, ერთიც მომსმენელს.

მთქმელი ბერძენიშვილი
ყოჩი საფარ-ოღლი

# თაგვმა თაგვი აიყვანა

ერთ ხელმწიფეს ყავდა ლალა. შვილი არ ყავდა. გაიარა გასაგულავებლად. შეხვდა თაგვის ბღარტი. შენატრა: ნეტაი ადამიანიშვილი გახდებოდეო. გახდა ის ადამიანიშვილი (თაგვის ბღარტი). მოჰკიდა ხელი და წაიყვანა. გამოზარდა კაი პიროვნება. მემრე იმისი დანიშვნა მოინდომა. იფიქრა: ვისი ქალი ავგვარო ჩემი შესაფერისიო. გამოამკვლია ყველაზე უკეთესი მზე. მზემ უბძანა: მე რა შემიძლია, ერთი კალოს ტოლა ღურბელი აღიმართოს, ჩემ სხივს დამიკარქამს. ჩემზე ძრავლი ღრუბელიაო. მემრე ღურბელს მიმართა, რო ქალიშვილი მომეციო. ღურბელმა უთხრა: მე რა შემიძლიაო, მაგისთანა ამბავიო, ჩემზე ძრავლი ქარიაო, ერთი კუთხიდან რო ამოვარდეს, საცხა დამკარქამსო.

ქარს მიმართა, ქალიშვილი თხოვა. ქარმაც უჩვენა კლდე, მე რა შემიძლიაო, ჩემზე ძრავლი კლდეაო, უსრიალებ და ჯერ ვერაფერი ამოგლიჯაო. მიმართა კლდეს იმ კაცმა. კლდემ უთხრა: თუნდაც ძრავლი ვარ, უძრავი კლდე მქვიაო, ეს თაგუნიებიო, ძირსა მითხრიანო, ჩემზე ძრავლი თაგვები არიანო, რო არ მიყენებენ ძირსაო. მიმართა ისევ თაგვსა იმ კაცმა. თაგვმა თაგვი აიყვანა.

რამდენიც კაცმა იკუნტოს, რაც არის ის ნა იქნას, ვერ გადაალაბიჯებს.

მთქმელი სარგის აბულაძე (ჩაწერის ადგილი არაა მითითებული).

# ჰაზარან ბულბული

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. ხელმწიფე აშენებდა შენობას, მაგრამ ვერ ეეშენებინა. მოიყვანა ბევრი მკითხავები და ამკითხვინა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გამოიკვლია, თუ რატომ არ შენდებოდა. ამისთვის ხელმწიფემ გაგზავნა თავისი სამივე შვილი ჰაზარ ბულბულის მოსაყვანათ. წავიდნენ ეს სამივე ძმები. ბევრი იარეს თუ ცოტა, დახვდათ ორი გზა. ერთ გზაზე ეწერა: „წახვალ, ან მოხვალ, ან არა“. მეორეზე ეწერა: „წახვალ და ვერ მოხვალ“. უფროსი ძმები წავიდნენ გზაზე: „წახვალ, ან მოხვალ, ან არა“, პატარა ძმა კი წავიდა იმ გზაზე, სადაც ეწერა: „წახვალ და ვერ მოხვალ“. ამ პატარა ძმამ იარა, იარა და შეხვდა ძალზე მოხუცი ქალი. ამ მოხუცმა უთხრა:
– ჰოი, ადამიანისშვილო, სად მოსულხარო? ლამაზი ვაჟი ხარო, ამისთვის გასწავლიო, როგორ უნდა მოიქცეო, რომ უკან ცოცხალი დაბრუნდეო. ამისთვის უთხრა: „წახვალ, ივლი, ივლი და შეგხვდება სამი დევიო, ერთი იქნება სამთავიანი, მეორე იქნება შვიდთავიანი, მესამე იქნება ცხრათავიანი. 19 ფუთი ტყვია იყიდეო, სამთავიანს სამი ფუთი ტყვია გადაუგდეო, შვიდთავიანს – შვიდი ფუთი ტყვია და ცხრათავიანს კი – 9 ფუთი ტყვია და ამითი გადარჩებიო“.

მართლაც ეს ბიჭი დაბრუნდა უკან და იყიდა 19 ფუთი ტყვია და წავიდა დევებთან. დევებმა რო დაინახეს ადამიანი, დაიყვირეს: რა კარგი საკბილოა, რამდენი ხანია ადამიანის ხორცი არ გვიჭამიაო.“ მაშინ ბიჭმა სამთავიანს გადაუგდო სამი ფუთი ტყვია, შვიდთავიანს – შვიდი ფუთი ტყვია და ცხრათავიანს – ცხრა ფუთი ტყვია. ამათ წამოიძახეს, – რა კარგი კევია საღეჭათაო. მაშინ უნცროსმა დევმა უთხრა: ამ სიკეთისთვის რა მოგცეო? ჩემ ქალიშვილს მოქცემო. მაშინ ბიჭმა უთხრა: მე არაფერი მინდა, ოღონდ ჰაზარან ბულბულის ადგილი სად არიო. ამ დევმა უთხრა: მე არ ვიცი, სად არისო, მაგრამ ჩემ შუათანა ძმას აქვს გაგონილიო. – კარგიო – უთხრა ბიჭმა და მოვიდა შვიდთავიან დევთან. შვიდთავიან დევმა უთხრა, რომ მე არ ვიციო, მაგრამ ჩემ დიდ ძმას აქვს გაგონილიო. მივიდა სულ დიდ დევთან და დიდ დევმა უთხრა: მე მარტო გაგონილი მაქვსო. – კარგიო, – ამ ბიჭმა უთხრა და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ფერი ყიზთან, რომ შევიდა, ფერი ყიზს ეძინა. ჩიტი გალიაში იყო, იქვე ბეჭედი იყო. ფერი ყიზს ჰქონდა ორმოცი პუგიცა,. ოცდაცხრამეტი გაუხსნა და ერთი დატოვა. აიღო ესენი და წამოვიდა. გამოაიარა დევებთან და წამოიყვანა დევის ქალიშვილები. ყველაზე დიდი დევის ქალიშვილი თითონ აიყვანა და დანარჩენები ძმებისთვის. როდესაც წამოვიდა და მას შეხვდა თავისი ძმები, რომლებიც ძალიან გაღარიბებულიყვნენ და ფეხით ნელ-ნელა მიდიოდნენ. ძმამ რა დაინახა თავისი ძმები, რომ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილან, უთხრა, – რა მოგსვლიათო, არა გრცხვენიათ, რო ხელმწიფის შვილები იყვეთ და ასეთი უმლაგარჯები, რომ ასე დაღარიბებულხართ და ფეხით მიჯლაჯუნებთო, მაგრამ ძმები უნცროს ძმას შურის თვალით უყურამდნენ და გულშიც იტარებდნენ. უნცროს ძმამ ჩააბარა ყველას თავისი საცოლე და გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მიადგნენ ერთ ჭას, ეს ჭა ძალიან ღრმა იყო და ძმებმა განიძრახეს თავისი უნცროსი ძმა ჩაეკიდათ ჭაში. მართლაც ასე მოიქცნენ: ჩაჰკიდეს ჭაში და აღარ ამოიყვანეს. როდესაც მივიდნენ თავით სახელმწიფოში, თქვეს, რომ ჩვენი ძმა დაიკარგა, მოკვდა, დარჩა, რა მოუვიდა, არ ვიცითო.

მანამ ეს ძმები სახლში მივიდოდნენ, ამ ჭას ესტუმრნენ სხვა მგზავრები, მათ თავიანთი წყალი უნდა ამოეღოთ, ამისთვის ჩაჰკიდეს ვედრო. როდესაც ამ ბიჭმა დაინახა რო ვედრო ჩაჰკიდეს, მან მოკიდა ხელი ამ ვედროს და ამოჰყვა. მგზავრებს ძალზე გაუკვირდათ და ჰკითხეს. მან ყველაფერი უამბო და გაუდგა თავის გზას დიდი კმაყოფილი. ის წავიდა მამამისის ქალაქში და ერთ ოქრომჭედელს დაუდგა შეგირდად. ამასობაში ორი ძმა ინიშნებოდა და უფროსი ძმა ამ დიდ დევის ქალსაც ყვანულობდა, მაგრამ ეს ქალი არ ჰყვებოდა. ამ ქალმა უთხრა: შენ თუ სამ პირობას შემისრულებ, მაშინ წამოგყვებიო, თუ არ შემისრულებ, არ წაგყვები ცოლადაო. შენ უნდა გამიკეთო, მეო, სინი თავის წიწილებით, კრუხით და ქალი ყვიროდეს ჯუჯუს. ამ კაცს გაუკვირდა, სად მაქსო ამდენი სული, რომ ამათ ჩაუდგაო. ის მივიდა ოქრომჭედელთან და სთხოვა, რომ გაეკეთებია ოქროს სინი თავის წიწილებით და ქალი კი გაიძახოდეს ჯუჯუს. თუ რომ არ გააკეთებ, თავს მოგჭრიო. ამ მჭედელს გაუკვირდა, სად მაქს ამოდენა სული, რო მაგათ ჩაუდგაო. ეს მჭედელი მივიდა სახლში და თავის შეგირდს დაუძახა: ღვინო მამიმზადეო, რო დავლიოვო, ხვალ თავი უნდა მამჭრანო. თავის შეგირდმა უთხრა: შენ არხეინათ დაწექი, დაიძინეო, მე ხვალვე მოგიმზადებო. ამ კაცს გაუკვირდა: მაგდენი სული სადა გაქვს, რო მაგას ჩაუდგაო. როდესაც ინათლა, ამ ბიჭმა გამოიღო ბეჭედი და უთხრა: ეხლა თუ გაქ მარიფათი, ეხლა გამოიჩენ. იმანაც გააკეთა ოქროს სინი, ზედ წიწილები, კრუხი და ქალი უყრის საკენკს და ყვიროდა ჯუჯუს.

ის მჭედელი შეშინებული წამოვარდა და ნახა, რომ მზად იყო თავის საქმე. მაშინვე აიღო სინი და სიხარულით გაეშურა ხელმწიფის სახლისაკენ. მთელი ხალხი დაესივნენ, რომ ენახათ ეს წიწილები. ხელმწიფის შვილს გაუკვირდა, თუ ეს როგორ გააკეთეო. ახლა მეორე პირობა წაუყენა ქალმა: ოქროს სინზედ ზედ იყოს მონადირე თოფით ხელში, ირემს ესროდეს, უკან კიდევ მისდევდეს ძაღლი. ხელმწიფის შვილი კიდევ წავიდა და მჭედელს უთხრა: აპა, ეხლა უნდა გააკეთო ოქროს სინი, ზედ მონადირე თოფს ისროდეს და ირემს კლავდესო. ეს მჭედელი კიდო დაღონებული დაბრუნდა სახლში და შეგირდს დაუყვირა: მოიტა ღვინო, დავლიოთ, ხვალ თავი უნდა მომჭრანო. ბიჭმა უთხრა: შენ დაწექი, მე ხვალ მოგიმზადებო. დილა რომ გათენდა, ამ ბიჭმა გამოიღო ხელიდან ბეჭედი და გააკეთა, მონადირე თოფს ისვრის.

ეს მჭედელი შეხტა თოფის სროლაზე და წამოხტა ზეზე, რომ დაინახა მზათ იყო, აიღო ხელში და წავიდა ხელმწიფის სახლში. ამ დროს ფერი ყეზის გაეგო, რომ თავისი ჩიტი აღარ იყო, აღარც ბეჭედი. მაშინვე წამოდგა ხელმწიფე და ეტყვის: რომელი შვილი იყო, რომ ჩემი გალიით ჩიტი წამოიყვანაო. ხელმწიფემ დაუძახა სულ უფროსი ვაჟი და უთხრა: შენ წამოიღეო? – ჰო, მე წამოვიღეო.

– მაშ, რამდენი გახსენი და რამდენი დარჩაო.

ასორმოცდაათი გავხსენი და ორასი დარჩაო, მერე დაუძახეს შუათანას. იმან თქვა: ოთხასი გავხსენი და ოთხასი დარჩაო. ეს თქვენი წამოღებული არ არის და ტყვილა ნუ იკვეხნიო. ბოლოს დაუძახეს სულ პატარა ძმას. ამ პატარას უთხრა: რამდენი გახსენი და რამდენი დარჩაო – ოცდაცხრამეტი გავხსენი და ერთი დარჩაო. – ბეჭედიც შენი წამოღებულიაო? ბიჭმა ბეჭედიც აჩვენა და მაშინ უთხრა ფერი ყეზიმ, რომ ცოლათ უნდა წამოგყვეო. მაშინ ამ ბიჭს გაუხარდა, ეს დიდი ძმები კი ცხენის კუდზე მიაბა და სულ ნაკუწ-ნაკუწ დაჩლიჩა, ამ პატარა ძმამ კი დაიწყო კარგი ცხოვრება.

მთქმელი პეტრე აბულაძე, 28 წლის.

# მუსაჲ

ერთი კაცი იყო და იმ კაც ერქვა მუსაჲ. გაიარა, ერთი ნაცნობი კაცის ოჯაღს ესტუმრა. ი ოჯაღში იყვნენ სამი ძმანი, არც ერთი არ დაუხვდა სახში იმ კაცსა. კაცი მიბრუნ-მობრუნდა. ოჯაღში არავინ არ იყო. მივიდა და ახადა თავი კიდობანს და შეხედა შიგ ფულია. ამოიღო ფული და წავიდა. მივიდნენ ძმიები, ოჯაღის პატრონები. უმფროს ძმას დაშჭირდა ფული. ნახა რო აღარ არი კიდობანში. მერე უთხრა ძმებსა: რომელმა ამოიღეთ ფული. პატარა ძმამ უთხრა: ჩვენ არც ერთმა არ ამოვიღეთ ფულიო. ჩვენი ფულის ამღები არიო მუსაჲო, წვერი თხელი ქოსაჲო, ბოჲ და ყესაჲო (ტანდაბალი).

წავიდნენ ეს ძმიები, რო უნდა იპოვონ ფული ამღები. იარეს ამ კაცებმა. ერთი კაცი შემოხვდათ გზაში. კითხეს თუ სახელი რა გქვია შენო. კაცმა უპასუხა: მე მქვია მუსაიო. მერე ძმამ უთხრა: ჯერ წვერი თხელიო, მესამემაც უთხრა: ტანიც მოკლეო (ბოჲ და ყესაჲო). დაიჭირეს ეს ლაცი და წაიყვანეს სასამართლოში ელბეგთან (რამდენიმე სოფელს ერთი მოსამართლე ყანდათ, იმას ერქვა ელბეგი). მირამდი მივიდნენ, ამ კაცებს დაუღამდათ. მივიდნენ და ესტუმრნენ ელბეგს. მისცეს საჩივარი. ელბეგმა უთხრა: იეხლა დაღამდა და დილაზე გავასამართლოთო. მერე მოუტანეს ამათ ვახშამი – პური, ხორცი და ერთმა თქვა, ეს ხორცი არ იჭმებაო, ჰამაო, რას იზამო, იმიტომ არ იჭმებაო, რო ცხვარიო გაზდილი არიო ძაღლი რძითაო. მეურე ძმამ თქვა: ეს პურიც არ იჭმებაო, ესეც არი მოსისხლე ყანიდან მოსულიო. მესამემ თქვა, რომა, მოსამართლეცაო ნამდვილი შვილი უნდა იყოსო, რო რიგიან სამართალი გადასწყვიტოსო. ელბეგის მოჯამაგირე ადგა თავზე ძმიებსა, იგონებდა ამ სიტყვებსა.

ჭამეს პური, რო მორჩნენ, მოსამართლემ წაიღო სუფრა უკან. შევიდა ელბეგთან. ელბეგმა კითხა: რა თქვეს იმათ, რა ილაპარაკეს და მოჯამაგირემ უთხრა: ასე და ასე თქვესო. ყველაფერი მოუყვა.

ამ ელბეგმა ჩაიფიქრა, რო მეო ასე შევცქერდი დედ-მამასაო და რათ თქვეს ასე ჩემზეო. მერე დაიბარა მეცხვარე. მეცხვარეს უთხრა: ის ცხვარი შენ რით გაზარდეო? მეცხვარემ უპასუხა, რომა კრავსაო დედა მოუკვდაო და ყეფარის ძუძუთი გავზარდეო. მერე ელბგმა დაიბარა და უთხრა, ის ყანა რათ არი მოსისხლეო (თათრულად იმ ყანას ყანი თალას ეტყვიან). გლეხმა უპასუხა: ის ყანა იყო სასაფლაო, როჲცა მოვხანით, სოფელმა არ გაგვიშვა, ჩხუბი მოხდა იქაო და კაცი მოკვდაო და დიერქვა ყანი თალაო (მოსისხლე ყანა). მერე წავიდა ეს კაცი, ელბეგი, დედამისთან. დედამის უთხრა: მამაჩემი ჩემი ნამდვილი ღვიძლი მამა იყო თუ არაო. დედამისმა უთხრა: შვილო, რათ ეძებ მაგიებს, რათ გინდა შენაო. მაგიებ თუ მკითხამო, მამაჩემი ღარიბი კაცი იყოვო, მეო ერთ დიდარ კაცის შვილმა შემიჩვიაო, მერეო, როჲცა მე ფეხმძიმეთ დავრჩიო, აღარ მინდომაო. მამაშენიც იყოო ერთი ქვრივიო და მამაჩემს უთხრა: ეს ქალი მე მამეციო, სიღარიბეში გიშველიო. ამწია მამაჩემმა და მიმცაო. მე ფეხმძიმეთ ვიყავი, შენ გაგვიჩნდი და მამად მიგაჩნდა ის კაციო. დანამდვილდა, რო ელბეგი არ ყოფილა ნამდვილი მამიშვილი. ყოფილა ფიჯი (ბუში). მერე ელბეგი შევიდა თავი სტუმრებთან, უთხრა მუსას, რო შენ უნდა გადიხადო ფულიო, მაგათ ველარ ვალაპარაკამ, რადგან სულ სიმართლეზე გავიდნენ ე კაცებიო. აიღო მუსამ და ამოიღო ფული, დასტვია სტოლზე, ჩააბარა ამ კაცებ და გაისტუმრა.

ჩაიწერა ილია მაისურაძემ 1937 წელს,
ამმ ფ N 3067



ნახ. ზურაბ ათოშვილისა

## განცხადება

*ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველო!*

*„კორონა-ვირუსის“ პანდემიასთან დაკავშირებით დაწესებული რეგულაციების გამო ზოგიერთ ხელმომწერთან გართულდა ჩვენი გაზეთის დროული მიწოდება. იმედია ეს პრობლემა მალე მოიხსნება და უკლებლივ ყველა ხელმომწერი შეუფერხებლად მიიღებს ჩვენი გაზეთის დარჩენილ ეგზემპლარებს.*

*ამასთან გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი გაზეთის რთული ფინანსური მდგომარეობაც და ვისაც არ გადაუხდია გაზეთის 2021 წლის ხელმოწერის ღირებულება, შესაბამისი თანხა ჩაგვირიცხოთ მითითებულ ანგარიშზე:*

*შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“*
*„ლიბერთი ბანკის“ ასპინძის ფილიალი*
*ს/კოდი 223100908*
*ანგ.№ GE72LBO113115795007000*

*წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის.*

*რედაქცია*

## მილოცვა


ბორჯომი
მთავრობის ახალი ინიციატივა

რესპუბლიკის მასშტაბით გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ მიერ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად – „რომელი გაზეთია ყველაზე რეიტინგული“, – რაიონულ გაზეთებს შორის დასახელდა გაზეთი „ბორჯომი“.

„ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს „ბორჯომის“ მთელ შემოქმედებით კოლექტივს, განსაკუთრებით მის რედაქტორს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ბატონ ვალერიან ლომიძეს ამ დიდ აღიარებას და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს.

ღმერთმა ჰქნას 2022 წელი კიდევ უფრო დიდი წარმატებების მომტანი ყოფილიყოს მათთვის, რათა მეტი სასიკეთო საქმე ეკეთებინოთ მუნიციპალიტეტისა და ქვეყნისათვის.

## ახალი გამოცემები




ახლახან დიაკვან გიორგი მაჩურიშვილის ავტორობითა და საგარაჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსის ლუკა ლომიძის ლოცვა-კურთხევით გამოვიდა საინტერესო კრებული „XVIII-XXI საუკუნეების წმინდანები და სასულიერო მოღვაწეები ლომიძეების გვარში.“

წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში შესულია „წმინდა მოწამეთა ტროპარ-კონდაკი“; „წმინდა ღირსმოწამეთა დარბევის თვითმხილველი მღვდელ-მონაზონი ისააკის მონათხრობი“; „წმინდა მღვდელმოწამე სერაპიონი და ბერდიაკონი სვიმონი“; „წმინდა ღირსმოწამე ბესარიონი“; „ლომიძეები“.

მეორე ნაწილი მთლიანად ეთმობა იმერეთის, თელავის, გურიის, ქართლის ლომიძეების სასულიერო მოღვაწეებს. მესამე ნაწილი – ლომიძეთა მხრიდან თანამედროვე სასულიერო მოღვაწეებს და ფოტო მასალებს.

წიგნის რედაქტორია ირემია ლომიძე.

საკ. ინფორმაცია

ფოლკლორი

## გამოცანები

***

ხე რა არის მისთანა,
უმიწოთ ამოდიოდეს,
არც უნდა შენი შეღობა,
არც მორწყვა მოუხდებოდეს,
შვიდწელიწადში ერთხელა
ფესვიდან შეინძრეოდეს.

***(ირმის რქები)***

გოლა ალექსის ძე ჩიტაძისაგან გაგონილი 1884 წელს, ჩაწერილია ნიკო ასათიანის მიერ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, ეN3099

***

ერთი რამა სულერი სიარულში ორსულდება.

***(თითისტარი)***

***

აბანოელი ბატები აბანოს ებანებიან,
იმათი ნაბანავები ხემწიფეს ეკადრებიან.

***(წისქვილი)***

***

არწივი წივის, მუხრანი კივის,
მუხა იქცევა, ველი გადადის.

***(გუთანი)***

***

ვზივარ კლდესა, ვიქნევ ხელსა,
მოსწი მამიშენის მზესა.

***(ხელსაფქვავი)***

***

მაღლა ვზივარ ჩარდახშია,
წვერი მცვივა კალთაშია.

***(საჩეჩელი)***

***

კიკნი, კიკნი, კიბესა,
კემუხტები კიბესა,
ზედ ირემი ყვიროდა,
ქვეშ ბალანი სცვიოდა.

***(საჩაჩელი)***

გაგონილი ელისაბედ ივანეს ასულ კალატოზიშვილის ქვრივისაგან ახალციხეში

***

ვერ გამოჭრის კაი მჭრელი,
ვერ შეკერავს ხარაზია,
დედის მუცლით არ იშობის,
არც დაიდგმის დარბაზია,
ლალის ფერად აყვავდების,
ხეთ დავიჭერ – ლამაზია.

***(ღვინო)***

***

ერთი პატარა მინდორსა,
არის ოცდა ათი სოფელი,
იმასა აქვს გზა სავალი,
თითითა გასაყოფელი.

***(ნარდი)***

***

წავიდა შარავანდებით,
ვით ლამპარი ეენთების,
ცეცხლისა ნაპერწკალსა ჰგავს,
აბედს არ მოეკიდების,
ამისი გამომცნობელი,
სოლომონ ბრძენი იქნება.

***(ციცინათელა)***

***

ჯარი დგას თემ, თემად,
ხმა არსად გაისმებისა,
შეიქმნა ომი მახილი,
მრავალი წაიქცევისა,
მრავალი ჰყრია საწყალად,
სისხლი არ გამოსდენისა,
ჩვენ ეს გვიბოძა უფალმა,
მისგან წყალობა კმარისა.

***(მკა ყანისა)***

***

ზამთრით დადგმული კარავი,
ზაფხულით მშვენიერია;
ხშირად მთის ხავს პურებასა
გასცვივდა ბროწეულია.

***(ყანა)***

***

ერთი რამე სულიერი,
სულიერათ უფალი,
ზურგი უგავს მაისსა,
თებერვალსა მუცელი,
ვინც ეს ვერ გამოიცნოს
მას გაუსკდეს მუცელი.

***(ბაყაყი)***

***

ირიბულათ გამოჭრილო,
შავი ღართი ასხია,
ვინც ეს არ გამოიცნოს,
თავზე ლაფი ასხია.

***(ჩურჩხელა)***

ჩაწერილია ნიკო ასათიანის მიერ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი N 3109

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: **www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი**

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17**

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

**რედაქტორი** ავთანდილ ბერიძე
**სარედაქციო საბჭო:** დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

**გაზეთი დაიბეჭდა** შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

**რედაქციის მისამართი:**
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com